აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№31 (25.159) 16 აგვისტო, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 27-32, მთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

უსაფრთხო საცხოვრისი წელს 110-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხო საცხოვრისი, დამატებით 11-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა. საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა ბათუმის იუსტიციის სახლში გაიმართა.

პროცესს ადგილზე გაეცნო აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე და ოჯახებს ახალი საცხოვრისი მიულოცა.

2024 წელს გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი და 5 016 840 ლარი შეადგინა. შესაბამისად, გაიზარდა თითოეულ ეკომიგრანტ ოჯახზე სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების წილი 50 000 ლარამდე.

წელს სამინისტროს პროგრამით, ამ დრომდე 110-მა ოჯახმა უკვე ისარგებლა. პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან ეკომიგრანტთა მუდმივად განახლებად ერთიან ელექტრონულ ბაზაში და მინიჭებული აქვთ პრიორიტეტულობის ქულა.

პროგრამაში ჩართვისთვის ბენეფიციარმა უნდა მიმართოს შესაბამის თვითმმართველ ერთეულს, დაზიანებული საცხოვრებელი ფართის მდებარეობის მიხედვით.

თამარის დასახლებაში ხიდი კვლავ გაფართოვდება

როგორც ცნობილი გახდა, ბათუმის მერია ქალაქის შემოსასვლელში, მდინარე ყოროლისწყალზე არსებული ე.წ. ბენზეს ხიდის გაფართოებას აპირებს. უკვე არსებულ ხიდს 2020-22 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,8 მილიონი ლარიც დაიხარჯა, თუმცა ამან საცობების პრობლემა არათუ ვერ მოაგვარა, არამედ, როგორც მოსახლეობა საუბრობს, გაამწვავა კიდეც - ხიდი რეაბილიტაციის შემდეგ კიდევ უფრო დავიწროვდა.

რეაბილიტაციამდე ხიდის სიფართე ორივე სავალ ნაწილში იყო 10,40 მეტრი, რეაბილიტაციის შემდეგ დავიწროვდა და 8 მეტრი გახდა. ამჯერად ისევ გაფართოვდება და ჯამში 10 მეტრი იქნება.

სამუშაოების შესყიდვაზე ქალაქის მერიის სამმართველომ ტენდერი უკვე გამოაცხადა. შესყიდვის ღირებულება 210 ათასი ლარია.

ტენდერში წინადადებების მიღება 2024 წლის 31 აგვისტოს დაიწყება და 5 სექტემბერს დასრულდება.

პირობის მიხედვით, სამუშაოს შესრულების ვადა ხელშეკრულების დადებიდან 2024 წლის 16 დეკემბრამდეა.

შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობაზე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გასცა 2

«კონფლიქტის შემთხვევაში მესამე ძალის დახმარების ილუზია, უბრალოდ, სიგიჟეა» 3

«ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში ჩუმად ყოფნა ღალატის ტოლფასი იქნებოდა» 4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობაზე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გასცა

შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობის პროექტის მასშტაბის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასევე, მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, გარემოს ეროვნული სააგენტო აღნიშნულ პროექტზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

„შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“, 2023 წლის 24 ნოემბერს წარმოდგენილი იქნა ქ. ბათუმში, საზღვაო აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია. წარმოების ფარგლებში, სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის მიზნით, უზრუნველყოფილი იყო პროცესის სრული გამჭვირვალობა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საკითხების დაზუსტებისა და სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, სააგენტოს მიერ 2024 წლის 19 აპრილს შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და კომპანიას ეთხოვა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა. დაზუსტებული დოკუმენტაცია ასევე იყო საჯარო და დაინტერესებული პირებისთვის განისაზღვრა შენიშვნების/მოსაზრებების წარმოდგენის ვადა. ინფორმაცია გადაეგზავნა საექსპერტო კომისიას განხილვისა და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენის მიზნით.

წარმოების ეტაპზე, შპს „ტერმინალ 1-ის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლის თანახმად, შპს „ტერმინალ 1“ დაუშვებლად მიიჩნევდა კუნძულის მშენებლობა/მოწყობას წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, ვინაიდან კუნძულის საპროექტო ტერიტორია ფარავს შპს „ტერმინალ 1-ის“ ნავმისადგომზე მომავალი საერთაშორისო საზღვაო ხომალდების შემოსვლის, მანევრის და დგომის მარშრუტს და საფრთხეს უქმნიდა ტერმინალის უსაფრთხო ფუნქციონირებას. აღნიშნულის საფუძველზე, 2024 წლის 2 აგვისტოს სააგენტოს მიერ კვლავ შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“ ეთხოვა შპს „ტერმინალ 1-ის“ მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა.

აღნიშნულ საკითხზე შპს „ტერმინალ 1“ - მა სააგენტოს დამატებით მიმართა 2024 წლის 5 აგვისტოს. ვინაიდან, წერილებში დასმული საკითხები სცილდებოდა გზშ-ს ფარგლებს და შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას, აღნიშნულის შესახებ ეცნობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ეთხოვა დაზუსტებული მოსაზრებების წარმოდგენა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, „ტერმინალ 1-სა“ და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“ შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით, არ შეიზღუდება იმ ნავმისადგომზე ტანკერების შემოსვლა-გასვლა, რომლითაც სარგებლობს „ტერმინალი 1“; ასევე, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ დაგეგმილი მშენებლობა და მისი შემდგომი ექსპლუატაცია არ შეუქმნის საფრთხეს შპს „ტერმინალ 1-ის“ ოპერირების ქვეშ მყოფი სანავსადგურო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას, მათ შორის, ტერმინალის აკვატორიაში გემების უსაფრთხო შესვლა/გასვლას“, - ნათქვამია განცხადებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ 2024 წლის 12 აგვისტოს წერილის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოება გაგრძელდება.

„წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვის საექსპერტო კომისიის დასკვნების შეჯერებისა და არსებული დოკუმენტაციის შეფასების შედეგად, ქ. ბათუმში, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელშიც აისახა საზოგადოებისგან წარმოდგენილი არგუმენტირებული შენიშვნები/მოსაზრებები“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქრონიკა

2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისთან დაღუპული გმირები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიხსენეს და სკვერში არსებული მემორიალი ყვავილებით შეამკეს. 16 წლის წინ, 11 აგვისტოს, სოფელ შინდისის სარკინიგზო სადგურთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული რუსულ მოტომსროლელ ასეულთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. ქართველი ჯარისკაცების მიმართულებით მტერი თითქმის ყველა სახის იარაღიდან ისროდა, მათ შორის, ტანკებიდან და რეაქტიული ცეცხლმტყორცნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ორჯერ გამოიძახა დახმარება, ჩვიდმეტმა ქართველმა მებრძოლმა მტერს მედგარი წინააღმდეგობა ბოლომდე გაუწია და გმირულად დაიღუპა.

* * *

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩავლეიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან და ბათუმელ შემოქმედთა ჯგუფთან ერთად, იტალიის ქალაქ რეჯო-კალაბრიაში, წიგნის საერთაშორისო ფესტივალში - „Xenia book festival“ მონაწილეობდა. აჭარის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურის ცნობით, აჭარის დელეგაციას ქალაქ რეჯო-კალაბრიის მერმა - ჯუზეპე ფალკომატამ უმასპინძლა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა აჭარასა და რეჯო-კალაბრიას შორის არსებულ მეგობრულ, კულტურულ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ორი რეგიონის თანამშრომლობა მეოთხე წელს ითვლის და სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ფესტივალს, რომელზეც ქართულ და იტალიურ ენებზე წარმოდგენილი იყო ქართველი პოეტების შემოქმედება, სპეციალური სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოს კონსული იტალიის ქალაქ ბარში ვატო ანდღულაძე და სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ავტორი, პოეტი დავით მაღრაძე.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის პროგრამის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ ღონისძიების „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში, ოთხი ათასამდე ფერმერს თანადაფინანსებით გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ეს არის პროგრამის ბენეფიციარების მიერ შესყიდული სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მოტოკულტივატორი, ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატები, მარცვლეულის საფქვავი, რძის საწველი აპარატები და სხვა. პროგრამის მიზანია-სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით. აღნიშნული ინვენტარის შესყიდვა-დაფინანსება რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ფერმერებზეა გათვალისწინებული. სულ ღონისძიების ბიუჯეტი შეადგენს 4 მილიონ ლარს. სამინისტროს თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 3,879,648.43 ლარს. ფერმერებზე ტექნიკის გადაცემის პროცესს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე დაესწრო.

* * *

ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, მუნიციპალურ ტრანსპორტში უბილეთო მგზავრობაზე მონიტორინგი საგანგებო რეჟიმში ხორციელდება. მგზავრთა ნაკადების ზედამხედველობის განყოფილებამ ბოლო სამი თვის განმავლობაში უბილეთო მგზავრობისთვის 4526 პირი დააჯარიმა. ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია უბილეთო მგზავრობაზე მონიტორინგს ყოველდღიურად ახორციელებს. მგზავრი ვალდებულია საფასური ტრანსპორტში ასვლისთანავე გადაიხადოს.

* * *

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოწვევით, აზერბაიჯანელი ინფლუენსერები აჭარაში იმყოფებოდნენ. ისინი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ასიათასობით გამომწერს უზიარებენ. ბათუმის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან ერთად, ისინი მთიან აჭარას სტუმრობდნენ, სადაც რეგიონის ეკოტურისტულ პროდუქტებსა და ადგილობრივ სამზარეულოს გაეცნენ. წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა 30-ზე მეტი მედიატურის ფარგლებში 100-მდე ჟურნალისტსა და ინფლუენსერს უმასპინძლა.

* * *

მერიის შესაბამისი სამსახურები წელს არაერთ პროექტს ახორციელებს. საბავშვო ბაღების მშენებლობა - სამ, გამაგრებითი სამუშაოები კი ერთ მისამართზე მიმდინარეობს, ექვს მისამართზე ხორციელდება ფერდსამაგრი კედლების მშენებლობა. სანიაღვრე არხის მოწყობა გრძელდება ლორთქიფანიძის ქუჩაზე, ტურისტული ობიექტების მიმართულების აღმნიშვნელი აბრების აღდგენა დასრულდა 54 ლოკაციაზე. საცხოვრებელი სახლების ეზოებში ფანჩატურებისა და საბაღე სკამების რეკონსტრუქცია ეტაპობრივად ხორციელდება. ხელვაჩაურის მიმართულებით აქტიურად გრძელდება წყალმომარაგების ახალი ქსელის მშენებლობა. სანიაღვრე ჭებისა და ცხაურების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს იმედაშვილის, ჭავჭავაძის, რუსთაველის, გრიბოედოვის, თაყაიშვილის, პუშკინის, ს. ხიმშიაშვილის, აღმაშენებლის, ს. მესხის, დადიანის, მ. ვარშანიძის, ბაგრატიონის, სევასტოპოლის, ჩაიკოვსკისა და 26 მაისის ქუჩებზე, რეგულარულად იწმინდება ზღვაში გამსვლელი სანიაღვრე არხები. მერიის შესაბამისი სამსახურები სკვერების, პარკების, მწვანე სივრცეებისა და ეზოების გაცელვას აქტიურად აგრძელებენ, აეროპორტის გზატკეცილზე კი ამ ეტაპზე ერთწლოვანი ყვავილების მოწესრიგება მიმდინარეობს. ტურისტულ სეზონზე აქტიურად მიმდინარეობს დეზინსექცია-დერატიზაციის სამუშაოები, დასუფთავების სამუშაოები კი უკვე დასრულდა ე.წ. ბენზე-ბარცხანის სანაპირო ზოლზე.

* * *

ბათუმში სკვერების, პარკების, მწვანე სივრცეებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოწესრიგება მიმდინარეობს, პარალელურად კი რამდენიმე ლოკაციაზე სხვადასხვა სახის სამუშაოები ხორციელდება. ინფორმაციას გამწვანების სამსახური ავრცელებს. მათივე ცნობით, მიმდინარე კვირის განმავლობაში გოგებაშვილის, რუსთაველის, გამსახურდიას, ჩაიკოვსკის, ჯავახიშვილის, კომახიძისა და ხიმშიაშვილის ქუჩებზე მოწესრიგდა პარკები, სკვერები, საყვავილე კლუმბები და წრიულები. „კვირის განმავლობაში 35-მდე ლოკაციაზე გაიცელა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები, ტროტუარები და გზაგამყოფები. ჯავახიშვილის, რუსთაველისა და კომახიძის ქუჩებზე ფილები და სავალი ბილიკები დამუშავდა ჰერბიციდით. ახალსოფლის სანერგე-სასათბურე მეურნეობაში რეგულარულად მიმდინარეობს ყვავილების ჩითილების მორწყვისა და გადარგვის სამუშაოები“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

ფორუმზე „ახალგაზრდების მონაწილეობითი პოლიტიკა -2024“ ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრმა 2019 წლიდან დღემდე განხორციელებული საქმიანობის საერთო ანგარიში და პრიორიტეტული მიმართულებები წარადგინა. ფორუმის მიზანი იყო ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება, მუნიციპალურ დონეზე მომავალი თაობის მონაწილეობითი პოლიტიკის წახალისება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრება. ღონისძიებას, რომელიც ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან 200-მდე ახალგაზრდა, ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, ქალაქ ბათუმის მერი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„კონფლიქტის შემთხვევაში მესამე ძალის დახმარების ილუზია, უბრალოდ, სიგიჟეა“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

მსოფლიოში არსებულ ტრაგიკულ ქაოსს ისე შევეჩვიეთ, რომ ვეღარც ვამჩნევთ, რა გავლენა აქვს არათუ ქვეყნების, თითოეულის ყოფა-ცხოვრებაზე. ბევრი ჩვენგანი უკვე აღარც ინტერესდება მიმდინარე ომებით, ტერაქტებით თუ საეჭვო პოლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბებით და გულუბრყვილოდ თვლის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი თავისით დალაგდება. პრინციპში, არც ეს არის გამორიცხული, ვინაიდან ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, უბრალოდ, რა რაოდენობის მსხვერპლი იქნება საჭირო პლანეტაზე მშვიდობის აღსადგენად, წარმოსადგენადაც რთულია

გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ ***სოსო მანჯავიძესთან,*** *რომელიც საუბრობს მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებსა და საქართველოს როლზე მსოფლიო გადანაწილების პროცესში.*

- ბატონო სოსო, გთხოვთ, მოკლედ მიმოიხილოთ მსოფლიოში არსებული კონფლიქტები და ტერიტორიული გადანაწილების პროცესები.

- დღესდღეობით დედამიწაზე, სხვებთან ერთად, არსებობს კონფლიქტის სამი მთავარი კერა: აღმოსავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, შორეული აღმოსავლეთი, ანუ ტაივანი. პირველია ისრაელ-ირანის დაპირისპირება; მეორე - კოლექტიური დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირება; მესამე - ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის დაპირისპირება ტაივანის გამო. ყველა წერტილი, ცხადია, ერთმანეთზე ზემოქმედებს. თავიდანვე ნათელი იყო, რომ კოლექტიურ დასავლეთს (რომელიც ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებულია, აქვს ტრანსნაციონალური გაერთიანებები) დაუპირისპირდებოდა თანდათან კონსოლიდირებადი ჩინეთი, ირანი, რუსეთი. ასეც მოხდა: გამყარდა რუსეთ-ჩინეთის, რუსეთ-ირანისა და ირან-ჩინეთის კავშირები, რაც გულისხმობს ამ ქვეყნების სტრატეგიული ბლოკის ჩამოყალიბების წინაპირობას. უკვე გამოიკვეთა, რომ ტრიადას მხარს უჭერს ე. წ. გლობალური სამხრეთის უმრავლესობა. რა თქმა უნდა, ეს საერთო მონახაზია, რადგან იქ უამრავი ნიუანსია.

- რაც შეეხება უკრაინას...

- რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ლოგიკურად მიდის უკრაინის სამხედრო ძალების მარცხისკენ. უკრაინის საწარმოო სიმძლავრეები ფაქტიურად განადგურებულია, რაც გადარჩა, იმასაც არ ჰყოფნის სამუშაო ძალა (რომლის ნაწილი იბრძვის, დაიღუპა ან იმალება), დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია. ამ ვითარებაში უკრაინის ეკონომიკის დეფოლტი დროის საქმეა.

- რუსეთმაც განიცადა უზარმაზარი დანაკარგები, მსხვერპლი იქაც დიდია.

- კი, მაგრამ რუსეთის დემოგრაფიული მონაცემები, მოსახლეობის რიცხვი აბსოლუტურად განსხვავებულია. იმის განცხადება, რომ „ისინიც იხოცებიან“, დღევანდელი დღის ფონზე, არასერიოზულია ბრძოლის ველზე რეალური ძალთა შეფარდების თვალსაზრისით და უკრაინაში შიდაპოლიტიკური პროპაგანდისთვისაა განკუთვნილი.

- ხომ მიმდინარეობს საუბარი სამშვიდობო მოლაპარაკებებზე?

- არც ამ პროცესს უჩანს პირი. ბევრი ექსპერტი საუბრობს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები წარუმატებელი იქნება, რადგან იმ ძალას, რომელმაც საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად კონფლიქტი გამოიწვია, უკრაინის მთავრობა ხელში ჰყავს და დანებების საშუალებას არ მისცემს. ცხადია, თავად ზელენსკის და მისი გუნდისთვისაც ომის დამთავრება არათუ პოლიტიკური, ფიზიკური გადარჩენის საკითხია.

- გასაგებია, მაგრამ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე?

- როგორც აცხადებენ, იბრძოლებენ უკანასკნელ უკრაინელამდე. გასაგებია, რომ ეს პომპეზური ნათქვამია, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ. ომი გაგრძელდება მანამ, სანამ კრიტიკული არ გახდება რუსების უპირატესობა, თუმცა ფრონტის გარღვევისთვის, ჯერჯერობით, არც თავად რუსეთის ფედერაციაა მოწადინებული და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული. ომი რუსეთისთვის წარმოადგენს პოლიტიკური დივიდენდების, წარმატებული ვაჭრობის და ამერიკის შეერთებული შტატების შიდა პოლიტიკაზე გავლენის ბერკეტის მოპოვების საშუალებას. ყველაფერი ეს ხსნის

იმ უცნაურობებს, რომელიც ბლომადაა ამ ომში.

- რას გულისხმობთ?

- გაიხსენეთ ხიდები დნეპრზე, რომლებიც ისევ ისე დგას და რომელთა საშუალებითაც შეუფერხებლად მიეწოდება შეიარაღება აღმოსავლეთ უკრაინაში მებრძოლ უკრაინელებს. ესეც ისეთი ფაქტია, რომელზეც რუს პროპაგანდისტებს მაინცდამაინც არ უყვართ საუბარი. ან ის გაიხსენეთ, რომ რუსეთში ეს ომი სამამულოდ შერაცხეს, მაგრამ ოფიციალურად ისევ სპეციალურ სამხედრო ოპერაციად მოიხსენიება. ისიც საინტერესო ფაქტია, რომ კოლოსალური სანქციების გამოცხადების მიუხედავად, რუსული სტრატეგიული საქონელი, მაგალითად, გამდიდრებული ურანი, კვლავ მიეწოდება შეერთებულ შტატებს.

- თვითმხილველების თქმით, ევროკავშირის გემები რიგში დგანან რუსეთის პორტებში.

- კი, თვალთმაქცობის, ორმაგი თუ ხუთმაგი სტანდარტების დემონსტრაციაა, ისევე, როგორც რუსეთთან სასტიკად დაპირისპირებულ ლიეტუვასა და ლატვიაში აშენდა უზარმაზარი ლოჯისტიკური საწყობები, საიდანაც სანქცირებული საქონლით მარაგდება რუსეთი. ეს მართლა კომედიაა - ერთი მხრივ, ბალტიისპირეთის ქვეყნების რუსეთის მიმართ გაუღერებული რადიკალური პოლიტიკა და, მეორე მხრივ, მასთან გახურებული ვაჭრობა.

- რამდენად მართალია ინფორმაცია, რომ პოლონეთიც ემზადება ომისთვის?

- კი, ასეთი ინფორმაცია არსებობს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თუ ვინმეს ჰყავს ევროპაში ბრძოლისუნარიანი არმია, ეს პოლონეთია. დანარჩენი ქვეყნების არმიები ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

- ბრიტანეთი?

- ბრიტანეთს ამ მხრივ ყველაზე მძიმედ აქვს საქმე. გახსოვთ, რომ მისი არმია ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, ხოლო ფლოტი „ზღვათა მბრძანებელი“ იყო, თუმცა დღეს სამხედრო გემები ვერ გამოუყვანიათ ოკეანეში ტექნიკური პრობლემების გამო, თანაც ვერ ავსებენ არმიის რიგებს. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმპერიათა დაშლის ცნობილ მექანიზმს. თუ ისტორიას გადავხედავთ, ბრიტანეთის მაგალითი ქრესტომათიულია. როგორც ცნობილია, როდესაც იმპერიები იღუპებიან ან სხვა სტადიაზე გადადიან, საოცარ სიგიჟეებს და სისულელეებს აკეთებენ. ეს კანონზომიერებაა. გვახსოვს, ალბათ, რა პროცესები მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში მისი დაშლის დროს, რა უქნა ამ უზარმაზარი რესურსების ქვეყანას არაადეკვატურ მდგომარეობაში მოსულმა ელიტამ. სპეცსამსახურებმაც ვერ დაიცვეს კადრები უცხოელი კოლეგებისგან. სხვათა შორის, იგივე ხდება შეერთებულ შტატებშიც.

- რუსეთშიც ხომ არ მიმდინარეობს მსგავსი პროცესები?

- არა, იქ სულ სხვა ციკლია. ამ ეტაპზე რუსეთი აღმავლობის ეტაპზე უფრო იმყოფება, ვიდრე დაშლის.

- რაც შეეხება ისრაელის კონფლიქტს?

- აქ უკვე საქმე გვაქვს ძალიან დრამატულ პროცესთან, რომელმაც, შესაძლოა, შექმნას უმართავი სიტუაციები, მსოფლიო ომის დაწყების ჩათვლით. კერძოდ, ისრაელის ხელისუფლების სათავეში დგას ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელსაც მხარს უჭერენ უაღრესად რადიკალურად განწყობილი რელიგიური ძალები. ამ წრეების ზეგავლენა დღევანდელი ისრაელის მთავრობის პოლიტიკაზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია ამერიკაში არსებული ფანატიკოსების აპოკალიფსური იუდეოქრისტიანული მოლოდინები. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ მესია მოგვევლინება ურწმუნოების გასანადგურებლად.

- ებრაელებიც განადგურდებიან, როგორც ურწმუნოები?

- ამ კითხვაზე პასუხი ერთგვაროვანი აქვთ: ამ პერიოდისთვის ებრაელები მოექცევიანო. ჩვენ ვნახეთ ბენიამინ ნეთანიაჰუს გამოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, სადაც იგი ჩავიდა, მათ შორის, ამ წრეებთან შესახვედრად. როგორც ჩანს, გარკვეული მხადაჭერაც მიიღო. როგორც კი ვნახე ეს გამოსვლა, მაშინვე დავწერე, რომ საქმე გვაქვს პროცესის ესკალაციასთან. ამის დასტური იყო, მეორე დღესვე დრუზებით დასახლებულ ქალაქში, საბავშვო მოედანზე აფეთქებული რაკეტა, რომელიც დაბრალდა „ჰეზბოლას“. ამ უკანასკნელმა უარყო ბრალდება და განაცხადა, რომ ეს იყო ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მიერ გაშვებული რაკეტა. ამის მიუხედავად, პროცესები სწრაფად განვითარდა. ბავშვების დაღუპვა გახდა კაზუს ბელი. დაუყოვნებლივ განხორციელდა ორი დარტყმა: ბეირუთში გაანადგურეს „ჰეზბოლას“ პოლიტიკური და სამხედრო ძალების ლიდერები, ხოლო თეირანში მოკლეს „ჰამასის“ ლიდერი ისმაილ ჰანიე, რომელიც ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრებად იყო იქ ჩასული. ეს ისეთი შეურაცხყოფაა ირანისთვის, რომლის უპასუხოდ დატოვება ავტორიტეტს შეულახავს როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკურ წრეებში. ბავშვიც კი მიხვდება: ისრაელის მხრიდან საქმე გვაქვს არა თავდაცვასთან, არამედ გამოწვევასთან. როგორც კი ეს უცნაური 8 ოქტომბრის ტერაქტი მოხდა, რომელმაც იდუმალებით გადააჭარბა 11 სექტემბრის ტერაქტს, ნათელი გახდა, რომ ირან-ისრაელს შორის ურთიერთობა მხოლოდ შეიარაღებული ძალებით და გამანადგურებელი დარტყმებით განხორციელდება. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ირანს არა აქვს პირდაპირი საზღვარი ისრაელთან, ასე რომ, მხოლოდ სარაკეტო დარტყმების განხორციელების შესაძლებლობა რჩება. თავად ნეთანიაჰუს აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი, რაზეც უკვე ღიად საუბრობენ ბენიამინის მომხრე ანალიტიკოსები. კერძოდ, თვლიან, რომ ამერიკას ძალუძს, ირანს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენოს.

- რას მიიღებს ისრაელი ირანის განადგურებით?

- უკვე რეალურად შესძლებს თავისი შორს მიმავალი გეგმების განხორციელებას, კერძოდ, ირანის შემდეგ აპირებს სირიის, ერაყის განადგურებას და ისრაელის საზღვრების გაფართოებას. პალესტინელებს, ალბათ, გარეკავენ. კარგად ვხედავთ, რაც ხდება ღაზის სექტორში (და არა მხოლოდ იქ). აი, ასეთი გეგმებია, რომელიც დაკავშირებულია მაშიახის მოლოდინთან, რომელსაც აღარც მალავენ ისრაელის ოფიციალური უწყებები.

- ვინ უნდა შეაჩეროს ისრაელის ამ გეგმების განხორციელების პროცესი?

- სხვათა შორის, ამაზე ძალიან ბევრი ძალა ზრუნავს. მათ შორის, არა ირანის ხელმძღვანელობისათვის შეგონებით, რომ ამ ეტაპზე არ დაარტყას და არ გააღიზიანოს ისრაელი, არამედ პრაქტიკულადაც, კერძოდ, ირანისათვის ისრაელის და აშშ-ის შეკავებისთვის აუცილებელი იარაღის მიწოდებით. ის, რომ ისრაელი რეგიონში ერთადერთი ატომური სახელმწიფოა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მას აქვს ატომური ტრიადა, ანუ, ატომური ქობინების მიტანის საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო საშუალებები. აქვს მეგატონაზე მეტი სიმძლავრის 90-მდე ბირთვული ქობინი, რომელთა გამოყენებით მთელი რეგიონი რადიაქტიურ უდაბნოდ გადაიქცევა. სწორედ ამიტომ არის ეს კონფლიქტი განსაკუთრებით საშიში.

- როგორც ჩანს, არც ერთი მხარე არ აპირებს დანებებას...

- რომც მოინდომონ, აღარც აქვთ ამის საშუალება. აქვე თვლემს კონფლიქტის მესამე კერა - ტაივანის საკითხი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა აშშ-ის არჩევნებში. ტრამპი თვლის, რომ რუსეთის ელიტა უნდა გადმოიბიროს და მთელი ენერგია ჩინეთთან დაპირისპირებაში გამოიყენოს. ის ამბობს, რომ ერთ დღეში დაამთავრებს ომს უკრაინაში, რაც, ცხადია, არარეალურია, თუმცა ცხადად აჩვენებს ტრამპის პრიორიტეტებს... განვიხილოთ ჩინეთის მიმართულება. იქ აშშ ცდილობს შექმნას შორეული აღმოსავლეთის ალიანსი: ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია, სამხრეთ კორეა, აშშ და ბრიტანეთი. ამას კი ცდილობს, მაგრამ იქაც უამრავი წინაღობა ხვდება. არსებობს ჩრდილოეთ კორეა, რომელიც ასევე ატომური სახელმწიფოა, საკუთარი მიზნები აქვს და ძალუძს სერიოზული ზიანი მიაყენოს იქვე განლაგებულ ამერიკულ სამხედრო ბაზებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კორეასა და რუსეთს შორის არსებობს სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება, რაც ძალიან ანერვიულებს აშშ-ს. მოკლედ, ეს არის მსოფლიოში არსებული დაპირისპირებების გლობალური მიმოხილვა. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ ამოუცნობია.

- რა ადგილს იჭერს საქართველო მთელ ამ დაპირისპირებებში?

- საქართველო არის „ანაკონდის მარყუჟის“ შემადგენელი ნაწილი, ცეცხლის რკალი, რომელიც რუსეთისთვისაა გათვლილი და რომლის ამოცანაა რუსეთის გაძევება თბილი ზღვებიდან, მისი შეკეტვა კონტინენტურ სიღრმეში, რუსეთში მარიონეტული ხელისუფლების დასმა და მისი უზარმაზარი რესურსების ექსპლუატაცია. ამ სტრატეგიის მიზნებში ასევე შედის, არ დაუშვან რუსული რესურსებისა და გერმანული ტექნოლოგიების ურთიერთხელსაყრელ პირობებში ინტეგრაცია. ჯერ კიდევ ბისმარკი ამბობდა, რომ ანგლოსაქსური პოლიტიკის ბოლო ჟამი მაშინ დადგება, როცა რუსები და გერმანელები ითანამშრომლებენო. ახლა ვითარება სხვაგვარია, ჩინეთი ტექნოლოგიური გიგანტი გახდა და ერთგვარად ჩაანაცვლა გერმანია. შეიქმნა რუსეთ-ჩინეთ-ირანის ტრიადა. რაც შეეხება საქართველოს, ანაკლიის პორტი ძალიან მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური ცენტრია, რომლითაც დაინტერესებულია ჩინეთი. ეს ხელს არ აძლევთ ამერიკელებსა და ბრიტანელებს, რომლებიც საქართველოს თავიანთი გავლენის ზონად განიხილავენ. მსოფლიო საქონელბრუნვის 80% საზღვაო-საოკეანო გადაზიდვებზე მოდის, რომელთა კონტროლი სწორედ საზღვაო იმპერიების ხელშია უკვე სამასი წელია. აქედან გამომდინარე, მათთვის არ არის სასურველი ისეთი ლოჯისტიკური პროექტები, რომლებიც მათგან არ კონტროლდება. ადრეც ვწერდი, რომ ანაკლიის პორტის საკითხში ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა არ გადმოვიტანოთ ამ გეოპოლიტიკური გიგანტების ბრძოლა ჩვენს ტერიტორიაზე.

- ეს ყველაფერი ნიშნავს თუ არა, რომ ჩვენ მაინც რუსეთის მხარეს ვიკავებთ, როგორც ამას მედია აღნიშნავს?

- „რუსეთის მხარეს ვიკავებთ“ და მსგავსი იდეოლოგიური სისულელეები, რომლითაც გატენილია ჩვენი მედია, არის ჩვეულებრივი პროვინციალური უმეცრების დემონსტრაცია, რომლითაც ძალიან ბევრი ადამიანია დაავადებული, სამწუხაროდ. ახლა ვსაუბრობთ გლობალურ დაპირისპირებებსა და ინტერესებზე და საკითხს გლობალური რაკურსიდან უნდა შევხედოთ. აშკარაა, რომ აპირებენ საქართველოში ხელისუფლების შეცვლას, რადგან ხედავენ, რომ ჩვენ აღმოვჩნდით ქვეყანა, რომელიც ბედავს და ცდილობს, დაიცვას საკუთარი ინტერესები, ცდილობს, არ ითამაშოს შესაწირი პაიკის როლი. რა არის ჩვენი ინტერესი? - ჩვენი ინტერესია, საქართველო ჩამოყალიბდეს როგორც სატრანსპორტო, ლოჯისტიკური, ფინანსური ჰაბი. აქ იყოს სამშვიდობო ზონა, კეთილგანწყობით მოვაგვაროთ კონფლიქტები აფხაზეთთან და ოსეთთან, არ გავიფუჭოთ ურთიერთობები ჩვენს დიდ მეზობლებთან - თურქეთსა და რუსეთთან. სხვანაირად ჩვენი უსაფრთხოების საკითხები არათუ ვერ გადაწყდება, არამედ გაუარესდება. ზოგადად, უნდა გვესმოდეს, რომ მსოფლიო წესრიგი აღარ არსებობს და სამხედრო შემადგენელს სულ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო ჩვენს რეგიონში, კონფლიქტის შემთხვევაში, არარეგიონალური აქტორების დახმარების ილუზია, უბრალოდ, სიგიჟეა.

- ეს პროცესი უკვე გავიარეთ და ახლა იგივეს, უარესი სცენარით, გადის უკრაინაც.

- ამაშია საქმე... და როდესაც ამას ვერ ხედავენ და რაღაც არაადეკვატურ აზრებს აფრქვევენ ტელევიზიებიდან ეს ამბიციური გიჟები, ძალიან მძიმე განწყობა მეუფლება.

- დემოკრატიაა, ყველა საკუთარ აზრს აფიქსირებს...

- დიახ, მაგრამ აქ სულ სხვა ფენომენთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე ვთქვი, ეს ადამიანები ვერ ხედავენ ძალთა განლაგებას რეგიონში. ერთგვარ ტოპოგრაფიულ კრეტინიზმთან გვაქვს საქმე, რომლის ერთ-ერთი მიზეზი, აგენტურულ საქმიანობასთან ერთად, მძიმე იდეოლოგიური ინდოქტრინაცია გახლავთ.

„ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში ჩუმად ყოფნა ღალატის ტოლფასი იქნებოდა“

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

დიდი დრო არ რჩება ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე. წინასაარჩევნო მარათონიც სულ მალე სტარტს აიღებს და შემოდგომის დასაწყისიც პოლიტიკურად ცხელი იქნება. ამ ეტაპზე უცნობია საარჩევნო სიები, თუმცა ცნობილია პარტიების ერთობა, რომლებიც ოქტომბრის არჩევნებში ერთიან სიას წარმოადგენენ

მმართველი პარტიის სიაში „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები იქნებიან. რა გეგმები და მოლოდინები აქვს ახლად დაფუძნებულ პარტიას, ამ და სხვა საინტერესო თემებზე „აჭარასთან“ „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი ***ნინო ცხვარაძე*** *გვესაუბრება.*

- რატომ გადაწყდა „ქართულ ოცნებასთან“ გაერთიანება?

- დავიწყოთ იმით, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოს პარლამენტში თავდაპირველად რამდენიმე დეპუტატმა დატოვა, რომლებმაც პოლიტიკური მოძრაობა „ხალხის ძალა“ დააფუძნეს. მოძრაობის ლიდერებმა იმთავითვე დაიწყეს ისეთი განცხადებების გაკეთება, რომელიც უდიდეს გამბედაობასთან იყო დაკავშირებული. ფაქტობრივად, სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე, გურამ მაჭარაშვილი ალაპარაკდნენ იმ საფრთხეებზე, რაც გარე ძალებისგან იყო მოსალოდნელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ „ხალხის ძალის“ ლიდერებმა თქვეს ის მწარე სიმართლე, რაც არასასიამოვნო მოსასმენი იყო ოპონენტებისთვის. ის, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა, ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობა სურდათ, დღეს უკვე არავისთვისაა უცხო. გარე ძალების არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, „ხალხის ძალამ“ უკან არ დაიხია და ხალხს სიმართლე უთხრა. ბუნებრივია, იმთავითვე გაჩნდა კითხვა, რატომ აიღო საკუთარ თავზე „ხალხის ძალამ“ ამ სიმართლის თქმა? არაერთხელ გაეცა ამ კითხვას პასუხი, ახალს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ კიდევ ერთხელ განვმარტავ მკითხველისთვის: იყო მწვავე თემები, რაზეც მმართველი გუნდი ღიად ვერ ისაუბრებდა, ამიტომ „ხალხის ძალის“ ლიდერებმა საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა, რადგან სწორედ ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში ჩუმად ყოფნა ღალატის ტოლფასი იქნებოდა. პოლიტიკური მოძრაობა ერთი წლის შემდეგ უკვე მზად იყო, პარტია დაეფუძნებინა. ამით იმის თქმა

მინდა, რომ პოლიტიკურმა მოძრაობამ პარტიის დაფუძნებამდე გარკვეული გზა გაიარა. ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება გადაილახა და დღეს უკვე ჩვენი ამომრჩევლის წინაშე წარვსდგებით სწორედ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, რაც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო არავისთვის. მოძრაობის დაფუძნების დღიდანვე ვამბობდით, რომ არ ვიყავით სახელისუფლებო გუნდის ოპონენტები, რომ წარმოვადგენდით უმრავლესობას და ერთად ვიბრძოლებდით საქართველოს ღირსეული მომავლისთვის. დიახ, ამ შემთხვევაშიც, ოპოზიციისგან განსხვავებით, არ ვიტყუებოდით, ისინი კი მალულად ერთმანეთის თამაშს თამაშობდნენ, რაც უკვე ოფიციალურად გააფორმეს იმ გაერთიანებებით, რომლითაც აპირებენ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას.

- „ხალხის ძალამ“ თავის დროზე მოამზადა და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა გამჭვირვალობის შესახებ კანონი, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა.

- სამწუხაროდ, მაშინაც და შემდგომაც, როცა უკვე მმართველმა გუნდმა მოამზადა გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტი, გარე ძალების ჩარევის შედეგი იყო საპროტესტო აქციები. კანონპროექტმა მოახდინა სრული ლუსტრაცია, თუ ვის რა ინტერესი ჰქონდა. როგორ შეიძლება ილაპარაკო ევროპულ ღირებულებებზე და პარალელურად არ იყო გამჭვირვალობის მომხრე? საქართველოს ჰყავს გონიერი ხელისუფლება, რომელმაც შეძლო, ღირსეულად გაერთმია თავი რთული სიტუაციისთვის და ღირსეულად მივიღეთ კიდეც კანდიდატის სტატუსი. ყველას გვახსოვს, ქართული ოპოზიციის წარმომადგენლები როგორ დაძრწოდნენ ევროპაში და ლამის დაჩოქილები ემუდარებოდნენ მათ მოკავშირეებს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არ დაეშვათ სტატუსის მონიჭება, მაგრამ, საბედნიეროდ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ უსამშობლოებს. დიახ, ოპოზიციის ქმედებები სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო, რაც ძალიან კარგად დაინახა ქართველმა ხალხმა. როგორი უხერხულია, ქართულ კანონს რუსული უწოდო მაშინ, როცა გაცილებით მკაცრი კანონი მიიღეს ევროპის არაერთ ქვეყანაში. თუ დასამალი არაფერი გაქვს, შესაბამისად, არც გამჭვირვალობის წინააღმდეგი იქნები. საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, საიდან და რა მიზნით შემოდის ქვეყანაში თანხები. ვისი ინტერესების გამტარებლები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები თუ მედიასაშუალებები. რომელ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაზე უნდა ილაპარაკოს იმ მედიასაშუალებებმა, რომლებიც ევროპელი პენსიონერების ნაძარცვი ფულით, ან უცხო ქვეყნის ინტერესების გასატარებლად ფინანსდებიან? ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ისე სჭირთ. საბედნიეროდ, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა არ აჰყვა ოპოზიციას, რომელიც საპროტესტო აქციების უკან, თავდაპირველად, მალულად იდგა და საბოლოოდ მაინც გამოვიდა სააშკარაოზე. როგორც კი ხალხი მიხვდა, თუ ვის სურდა დესტაბილიზაციის მოწყობა ქვეყანაში, მაშინვე უთხრეს უარი და ოქტომბერშიც, საბოლოოდ, პოლიტიკურ სანაგვეზე მიუჩენენ ადგილს ქვეყნის მოღალატეებს.

- ოპოზიციურ გაერთიანებებზე რას იტყვით?

- ზოგადად, ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა ოპოზიციური გაერთიანებები და მათი პოლიტიკური დღის წესრიგი, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცევით. ჩემთვის, ისევე როგორც მოსახლეობის უმრავლესობისთვის, წინასაარჩევნო გაერთიანებები მოულოდნელი არ იყო, უბრალოდ, ახლა უკვე სააშკარაოზე გამოიტანეს ის, რასაც ამდენი ხანი საგულდაგულოდ მალავდნენ. საინტერესოა, თუ ამდენი ხანი „ლელო“ ანაკლიის პორტით ცდილობდა ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას, დღეს, როცა საერთაშორისო არბიტრაჟმა მათთვის არასასურველი გადაწყვეტილება მიიღო, რას ეტყვის ამომრჩეველს? ან „ახლები“ რუსეთის წინააღმდეგ რომ გამოდიოდნენ და დღეს უკვე რიტორიკა შეცვალეს, ფიქრობენ, ეს მოსახლეობის ყურადღების მიღმა დარჩა? „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პარტიაში ვერ დაულაგებია სიტუაცია და ქვეყნის სათავეში მოსვლაზე როგორ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს? ან ალეკო ელისაშვილი რას ფიქრობს, ხალხი დაუჯერებს? „გირჩი“ და რუბლებით გამდიდრებული ხოშტარია ხალხს თვალში ნაცარს ვეღარ შეაყრიან. შალვა ნათელაშვილს ქვეყანას რომ არავინ ანდობს, ესეც ვიცით. რა გითხრათ, აბა? ოპოზიცია მარცხისთვის რომ არის განწირული, თავადაც იციან, მაგრამ... წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო.

- საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც თავის დროზე „ქართული ოცნების“ რჩეული იყო, კარგა ხანია, მმართველი გუნდის ოპოზიციად მოგვევლინა. როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილი საარჩევნოდ იქნება ოპოზიციის გამოკვეთილი ლიდერი?

- სალომე ზურაბიშვილმა მმართველ გუნდს კი არა, საკუთარ თავს უღალატა, როცა ოპოზიციაში გადაბარგდა. შიშს დიდი თვალები აქვსო და ზურაბიშვილს საკუთარი კეთილდღეობის დაკარგვის შეეშინდა, რადგან მიხვდა, რომ მისი მატარებელი მეორედ აღარ ჩამოივლიდა. ზურაბიშვილი არის მაგალითი, თუ როგორი არ უნდა იყოს ქვეყნის მთავარსარდალი. სამწუხაროდ, ის გაურიგდა ოპოზიციას და საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში შევიდა. ბუნებრივია, ეს ბრძოლა მარცხისთვის იყო განწირული, რადგან ღალატით გამარჯვებას ვერ მოიპოვებ. რა უნდა გითხრათ პრეზიდენტზე, რომლისთვისაც პრობლემას არ წარმოადგენს იმ ნიკა გვარამიასთან სიამტკბილობა, რომელიც უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებდა მას. ზურაბიშვილისთვის პრობლემას არც „ნაცმოძრაობა“ წარმოადგენს. ზოგადად, პრეზიდენტმა ამნეზია დაიმართა, დაივიწყა ყველაფერი წარსულიდან, თუმცა ხალხს არ დავიწყებია ის ბნელი წარსული, წამება, სისხლიანი წლები, შიში, უიმედობა, რასაც აღარ დაუშვებენ. სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური მომავალი, ისევე როგორც ოპოზიციური პარტიებისა, კრახისთვისაა განწირული.

- ანუ, მმართველი პარტიის უპირობო გამარჯვებაში ხართ დარწმუნებული?

- დიახ, და ამას წყალი არ გაუვა. „ქართული ოცნება“ შეძლებს წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებას - მხოლოდ მშვიდობით, ღირსებითა და კეთილდღეობით ევროპისკენ! ქართველ ამომრჩეველს ვერავინ შეიყვანს შეცდომაში, ეს არაერთხელ აჩვენა ჩვენმა გონიერმა და პოლიტიკურად გაზრდილმა ამომრჩეველმა.

პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლების ვიზიტი – საქართველოში და გამოხმაურებები

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ამერიკელი სენატორი ჯინ შაჰინი და კონგრესმენი მაიკ ტერნერი საქართველოში იმყოფებოდნენ. მათ ორპარტიული ვიზიტის ფარგლებში, მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეს.

სენატორი და კონგრესმენი საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდნენ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩვენს ქვეყანაში მათი ვიზიტი აშშ-ის მხრიდან საქართველოს ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთი დასტურია.

„განვიხილეთ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, მომავალი არჩევნები, რუსული ოკუპაცია, ჰიბრიდული ომი და შავი ზღვის უსაფრთხოება“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სტუმრებმა მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართეს პრემიერ-მინისტრთან, რომელზეც განიხილეს საქართველოსა და ამერიკას შორის ორმხრივი ურთიერთობების საკითხი.

შეხვედრა მკაცრად შეაფასა სენატორმა ჯინ შაჰინმა და აღნიშნა, რომ ამერიკას სურს საქართველოსთან ურთიერთობების გაგრძელება, თუმცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე არ არის დაინტერესებული ამ ურთიერთობების გაგრძელებით.

საპასუხოდ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საჭიროა ურთიერთობების გადატვირთვა აშშ-თან, რაც სამართლიან, სწორ, ჯანსაღ მიდგომას საჭიროებს.

სენატორმა და კონგრესმენმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ სურდათ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაც, მაგრამ ის მათ არ შეხვდა. ირაკლი კობახიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა უთხრა ის მიზეზები, რის გამოც ვერ შეხვდებოდა.

„ძალიან მკაფიოდ განმარტა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მიზეზები და ეს მიზეზები უშუალოდ განემარტათ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შეიძლება გახდეს ეს განმარტება საჯარო, ეს არის დამოკიდებული ბიძინა ივანიშვილზე, ეს დამოკიდებულია ჩვენს ამერიკელ პარტნიორებზე. თუ დადგება დღის წესრიგში ამის გასაჯაროება, შესაბამისი მხარეები მიიღებენ ამის გადაწყვეტილებას“, - განაცხადა პრემიერმა.

პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, ჯინ შაჰინმა და მაიკ ტერნერმა თავდაცვის სამინისტროში გადაინაცვლეს. ირაკლი ჩიქოვანთან საუბრის მთავარი თემა რეგიონში უსაფრთხოების საკითხები და გამოწვევები იყო.

პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მესამე სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, რომ შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხი წინასაარჩევნო გარემო და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონი იყო.

სტუმრებს მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდათ ამერიკის ელჩის რეზიდენციაში საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთანაც. შეხვედრის შემდეგ „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანა დოლიძემ განაცხადა, რომ ჯინ შაჰინმა და მაიკ ტერნერმა საჯაროდ გამოხატეს წუხილი საქართველოში ხელისუფლების მხრიდან კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძის თქმით კი მათი ჩამოსვლის მიზანი ქართველი ხალხისა და საქართველოს მხარდაჭერაა. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში სენატორი და კონგრესმენი ოკუპირებული ცხინვალის ხაზსაც ეწვივნენ, კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ოკუპაციის არსებობას ჩვენს ქვეყანაში და დაგმეს რუსეთის აგრესია.

როგორ აფასებენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები აღნიშნულ ვიზიტს, ამას კომენტარებიდან შეიტყობთ.

ნინო ცხვარაძე, ბათუმის საკრებულოს წევრი, პარტია „ხალხის ძალა“:

- ამერიკელი სენატორის და კონგრესმენის საქართველოში ვიზიტი ოქტომბრის არჩევნებთანაა კავშირში. მართალია, ყველა ჩვენი „მეგობარი“ შეეცდება ქვეყანაში მისთვის სასურველ ძალას ჩააგდე-

ბინოს ხელში ხელისუფლება, თუმცა ქართველი ამომრჩეველი გონიერია, არ დაუშვებს ომს და დესტაბილიზაციას. უსამშობლოები ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდებიან. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ საქართველო არის ქვეყანა, მას ჰყავს ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნავს და სხვისი დაწერილი დღის წესრიგით არ იხელმძღვანელებს.

იხ. მე-9 გვ.

ბათუმი, დულილის მაღალი ტემპერატურა და ყოველდღიური გამოწვევები

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ზაფხული დასვენებასთან, გართობასა და ლამაზი მოგონებების შეგროვებასთან ასოცირდება. ბათუმი ის ქალაქია, რომელიც განსაკუთრებით ემზადება სტუმრების დასახვედრად. ნებისმიერი რესტორანი თუ კლუბი მრავალფეროვან ღონისძიებებს სთავაზობს მომხმარებელს. იწვევენ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მუსიკოს-შემსრულებლებს და ცდილობენ, ყველა გემოვნების მსმენელის ინტერესი დააკმაყოფილონ

თუ წლების წინ აჭარა მხოლოდ ზღვასთან ასოცირდებოდა, დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ არანაკლები ვიზიტიორი ჰყავს მთასაც. „ბავშვობიდან ბეშუმში დავდივარ, მაგრამ, წელს „შუამთობაზე“ რომ ზღვა ხალხია, ამდენი არასდროს მინახავს“, - გვითხრა ბეშუმისკენ მიმავალ გზაზე „საცობში“ მდგომებს ასაკიანმა მამაკაცმა და გვირჩია, ბათუმში დავბრუნებულიყავით, რადგან დანიშნულების ადგილამდე მისვლას 10 წუთის ნაცვლად 2 საათს მაინც მოვანდომებდით.

რა თქმა უნდა, კარგია, როცა შენს რეგიონს ამდენი ადამიანი სტუმრობს, ასეთი ყურადღება ექცევა შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას, მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის პრობლემა, მაგალითად, როგორიცაა სერვისებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ხულო-გოდერძის დამაკავშირებელ გზაზე მდგომარეობა, წინა წლებთან შედარებით, გამოსწორებულია და როგორც აჭარის მთავრობაში განაცხადეს, აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ისევ ბათუმს და აქაური ცხოვრების რიტმზე საუბარს დავუბრუნდეთ. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ტემპერატურა პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, მაღალია. ძალიან ბევრი ვიზიტიორი სტუმრობს ქალაქს. ღამის საათებში ვერც ერთ კაფესა თუ რესტორანში ვერ ნახავთ ადგილს. ყველა ცდილობს, შვებულებისთვის განკუთვნილი დრო სასიამოვნოდ და სასარგებლოდ გამოიყენოს.

- ბათუმში, ოჯახთან ერთად, გერმანიიდან ჩამოვედი. შემიძლია გითხრათ, აღფრთოვანებული ვარ, ბათუმი ყველაზე ევროპული ქალაქია საქართველოში, ის კი არა, ბევრ ევროპულ ქალაქს ჯობია. საოცრად ვერთობით, არჩევანის მრავალფეროვნებაც გვაქვს. 6 წელია არ ვყოფილვარ ბათუმში და ისე მომწონს აქაურობა, ყოველ ღამე ფეხით ვსეირნობ. აქაურ ყავას სულ სხვა გემო აქვს, აჭარული სამზარეულოც არაჩვეულებრივია. ჩემმა ხულოელმა მეგობრებმა ბორანოზე და კაიმაღზე დამპატიჟეს, საოცრება იყო. სულ სხვანაირი სტუმარმასპინძლობა იცით აჭარაში. ყველაფერში დებთ გულსა და სულს, - გვითხრა გიორგი ამაშუკელმა.

- ძალიან კარგია ბათუმი, მაგრამ ფასები ასტრონომიულია, - მითხრა ქუთაისელმა სტუმარმა ნინა ვაჭარაძემ. მის მსგავსად, მაღალ ფასებზე არაერთმა ადამიანმა გაამახვილა ყურადღება.

- მეგობრებთან ერთად ქუთაისიდან ჩამოვედი, ძალიან კარგად ვერთობით, სხვადასხვა კლუბში ჩვენთვის საყვარელი მომღერლების მოსასმენად დავდივართ, მაგრამ ყველაფერს ცეცხლის ფასი აქვს. ერთი ნორმალური კოქტეილი რომ დალიო კლუბში, 40-50 ლარი მაინც უნდა გედოს ჯიბეში. პროდუქტის ფასებიც მაღალია, ქვეყანაში არავინ აკონტროლებს ამას. ხშირად გამიგია, ევროპაში უფრო იაფად დაისვენებ, ვიდრე ბათუმში. ვფიქრობ, ლოგიკას მოკლებული არ არის. ძალიან ძვირი სიამოვნებაა ამ ქალაქში დასვენება, მაგრამ მაინც აქ მოვდივართ, სხვანაირი მიზიდულობის ძალა აქვს ბათუმს, - აღნიშნა ნინა ვაჭარაძემ.

„საცობს თუ დავაღწიე თავი, მოვალ“, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ საცობში ვარ, არ დამელოდოთ“, „დამღალა ამ საცობმა, როდის გათავისუფლდება გზა“, „ბათუმში თუ ვინმე აპირებთ წამოსვლას, ღამის საათებში წამოდით“ - ზაფხულის სეზონზე არაერთხელ მოისმენთ და წაიკითხავთ მსგავს კომენტარებს, რადგან ამ პერიოდში, ქალაქში ბევრი ავტომანქანის მოძრაობის გამო, ხშირია საცობები, რომელიც დამატებით დისკომფორტს ქმნის. სიტუაციის განტვირთვის მიზნით, ხშირად ურჩევენ ადამიანები ერთმანეთს, რომ ავტომანქანები დატოვონ სახლებთან და მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილდნენ.

- ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად მაწუხებს ამ სეზონზე ბათუმში, საცობებია. ქალაქში რომ შემოვსულიყავი, ბათუმის მუსიკალური ცენტრიდან ორ საათზე მეტი დამჭირდა. არ ვიცი, ამ კუთხით რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს. ალბათ, ავტომანქანები უნდა დავტოვოთ და ისე წამოვიდეთ, მაგრამ ქართველი კაცის ხასიათი ასეთია - ლამის მაღაზიაშიც, რომელიც ათი წუთის გზაზეა, მანქანით მიდის. არ გვიყვარს ზედმეტად თავის დაღლა. ბათუმი გალამაზებულია, თუმცა ამდენი ახალი, მაღალსართულიანი შენობა უკვე მეტისმეტია, ძველი ბათუმი იკარგება. 10 დღეა აქ ვარ, კიდევ რამდენიმე დღეს დავრჩები. ამ პერიოდში მახუნცეთისა და მირვეთის ჩანჩქერები მოვინახულე, მწვანე ტბაზეც გახლდით. საოცარი ბუნებაა აჭარაში, აქ არაერთი საინტერესო ადგილის მონახულება შეიძლება. აჭარის პოპულარიზაციას ეწევა თითქმის ყველა ინფლუენსერი საქართველოში და ეს ძალიან კარგია, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ იმ გამოწვევებზეც, რაც ტურიზმის სფეროშია. უნდა მოწესრიგდეს სტუმარმასპინძლობის სექტორში არსებული ხარვეზები, რაც თვალშისაცემია. ვუსურვებ ჩემს ქვეყანას, მის ყველა რეგიონს მეტ წინსვლასა და განვითარებას, - გვითხრა ნიკოლოზ ნებიერიძემ, დამსვენებელმა დედაქალაქიდან.

რამდენიმე დღეც და... სეზონური დულილის ტემპერატურა დაიწევს, შემსუბუქდება ქაოსური მოძრაობაც, სექტემბრის ბათუმი კი დაელოდება იმ ადამიანებს, ვინც მყუდრო და მშვიდ დასვენებას ანიჭებს უპირატესობას. სექტემბერს განსაკუთრებით ელოდებიან კინომოყვარულებიც - ამ დროს საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი „ბიაფი“ იმართება, რომლის ფარგლებშიც არაერთი რეჟისორი თუ მსახიობი სტუმრობს ქალაქს და პოპულარიზაციას უწევს ბათუმს, აჭარას, როგორც კინოს გადაღებისთვის საინტერესო ლოკაციას.

„წარმატების ფორმულა დაუღალავი შრომა და საქმის სიყვარულია“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ფილმებისა თუ მულტფილმების გახმოვანება საკმაოდ რთული, თუმცა საინტერესო პროცესია. საჭიროა სასიამოვნო, გამორჩეული, ორიგინალის მსგავსი ხმის ტემბრის მქონე მსახიობების გამოყენებით დიალოგების გახმოვანება და ტუჩის მოძრაობასთან სინქრონიზაცია

დღეს გაგაცნობთ წარმატებულ ახალგაზრდა მსახიობ ***მარიამ ხუხუნაიშვილს,*** *რომელიც წლებია, სხვადასხვა ფილმსა თუ მულტფილმს ახმოვანებს. პარალელურად, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობია და ვერცხლის სამკაულების ბიზნესიც აქვს. დღეს ის თავის შემოქმედებაზე გვესაუბრება.*

- მარიამ, რამდენი წელია, რაც ფილმებსა და მულტფილმებს ახმოვანებთ და როგორ მოხვდით ამ სფეროში?

- მათ დაახლოებით რვა წელია, რაც ვახმოვანებ. ამ სფეროში ჩვეულებრივად, სტანდარტული გზით მოვხვდი, ქასთინგზე ტოვებ შენი ხმის ჩანაწერს და თუ შემდეგ საჭირო პერსონაჟი გამოჩნდა, რომელსაც შენი ხმა ესადაგება, გირეკავენ. ისე მოხდა, რომ ძალიან მალე დასჭირდათ ერთ-ერთი მულტფილმის ჩაწერა, დამიბარეს და პირდაპირ მთავარი როლი ჩავწერე. მას შემდეგ ამ მიმართულებით ვმუშაობ.

- რამდენად სასიამოვნოა თქვენთვის გახმოვანების პროცესი და რა სირთულეები ახლავს მას?

- როგორც სცენაზე დგომა მიყვარს და ამით სიამოვნებას ვიღებ, ასევე მსიამოვნებს გახმოვანების პროცესი. ეს ჩემთვის არ არის სამსახური, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით მჭირდება, ეს არის საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს. ამ პროცესში მსახიობი სულ რაღაცას სწავლობს, ვითარდება. ფანტასტიკური მსახიობები მუშაობენ ჩვენთან და მათ გახმოვანებასაც სიამოვნებით ვუსმენ. სირთულეებს რაც შეეხება, შეიძლება იმ დღეს არ იყო ხმაზე, არადა, აუცილებელია ჩაწერა. თუ გაცივდი, ესეც პრობლემაა, ამ დროს რთულია გახმოვანება. ხმის იოგებს ყოველთვის კონტროლი სჭირდება, მუდამ ფორმაში უნდა იყო, საქმე რომ არ გაფუჭდეს.

- ყველაზე რთული რომელი პერსონაჟის გახმოვანება იყო და რატომ?

- ზოგადად, არ მიყვარს ზედმეტად „ნეიტრალური“ პერსონაჟების გახმოვანება - სწორხაზოვანი ხასიათის როლები ჩემთვის არ არის საინტერესო, მეჩვენება, რომ ამ დროს ჩემი ხმა ბუნებრივად არ ჟღერს. მირჩევნია გამორჩეული, გამოკვეთილი მეტყველების მქონე, აქტიური, სახასიათო პერსონაჟები.

- თქვენი აზრით, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს კარგი გამხმოვანებელი?

- პირველ რიგში, აუცილებლად უნდა ცდილობდეს განვითარებას და არ იყოს კმაყოფილი იმით, რასაც აკეთებს. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერჯერობით არ არის სასწავლებელი, სადაც ამ ყველაფერს ასწავლიან. ამ სფეროში ყველა თვითნასწავლი ვართ, შესაბამისად, ძალიან ბევრი მუშაობა გვჭირდება იმისთვის, რომ კარგ შედეგს მივაღწიოთ. პირადად მე, ამ ეტაპზეც კი, საკმაოდ ბევრს ვმუშაობ და სულ ვცდილობ, რაღაცები გამოვასწორო. არასდროს მეზარება ამისთვის შრომა. ვფიქრობ, უმთავრესია მონდომება და განვითარების სურვილი.

- ყველაზე მეტად რომელი გმირი შეგიყვარდათ?

იხ. მე-9 გვ.

ჩირუხში „კუნტიჯვრობა“ გაიმართა

2020 წლის აგვისტოში პროფესორ, ცნობილ ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივით, მთა ჩირუხის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯვარი აღიმართა. მისივე იდეა იყო, სამშობლოსთვის თავგანწირული კუტი (საპყარი) ქალის ქმედება საზოგადოებისთვის გაეცნო

კუნტი (კუტი) ჯვრის ბორცვზე ჯვრის აღმართვის დღესვე, დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ წესდებოდა სახალხო დღესასწაული „კუნტიჯვრობა“. ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დაბადებიდან 60 წლის იუბილეს ვეღარ მოესწრო, მაგრამ მის წამოწყებულ საქმეს საზოგადოებამ, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა და „კუნტიჯვრობამ“ გაგრძელება ჰპოვა. შარშან შოვში განვითარებული ტრაგედიის გამო ის არ ჩატარებულა, წელს კი, დიდგორობისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, ზეიმი ორგანიზებულად ჩატარდა.

ღონისძიება გახსნა შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა უხუცესთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფესვებმა“. ღონისძიების წამყვანმა, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსმა, პოეტმა, ისტორიკოსმა ფრიდონ დავითაძემ, დარჩიძეებისა და შუბნის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის საჯარო სკოლების პედაგოგებმა რამაზ ფუტკარაძემ, ემზარ ჯუმუშაძემ, პუბლიცისტმა ოთარ ცინარიძემ დღესასწაულის დაარსებაში ტარიელ ფუტკარაძის როლზე, მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ და დიდგორობა, „კუნტიჯვრობა“, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, ტარიელ ფუტკარაძის ძმამ, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძემ. დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდგნენ შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ავთენტური ანსამბლ „ჭვანას“ მომღერლები. შუახევის მერიის ახალგაზრდული განყოფილების სპეციალისტმა მარიამ დავითაძემ ზეიმის მონაწილე მოსწავლეებს 10-მდე კითხვა შესთავაზა გამოსაცნობად. გამარჯვებულებს შუახევის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელებმა, ფრიდონ ფუტკარაძემ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

დაბა შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ტარიელ ფუტკარაძის ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, ზეიმის მონაწილეებთან ერთად, 3 კილომეტრი გაიარეს, ბორცვზე აღმართულ ჯვართან მივიდნენ, პატივი მიაგეს გმირი ქალის თავგანწირვასა და ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნას. სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურმა, დეკანოზმა გიორგიმ (ფუტკარაძე) ჯვართან ტარიელ ფუტკარაძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. „მისასალმებელია, როცა მშობლიური



შუახევი, ტარიელის თანამედროვენი მის ღვაწლსა და საზოგადოებრივ საქმიანობას ასე აფასებენ. მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლმა პირადი წვლილი გაიღო საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ის არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ერთ-ერთი ხელმომწერი. მისთვის გადაულახავი ბარიერი არ არსებობდა. ხშირად ჩადიოდა ფერეიდნელ ქართველებთან, თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს ყურადღებასა და თანადგომას არ აკლებდა. ირანშიც და თურქეთშიც, იქაური ქართველების სახით, მრავალი მეგობარი ჰყავდა. მის ამაგს არ ივიწყებენ. სამაგალითოდ წლევანდელი „კუნტიჯვრობაც“ საკმარისია, - გვითხრა ტარიელ ფუტკარაძის მეუღლე იამზე (ია) ვაშაკიძემ. წლევანდელი „კუნტიჯვრობის“ მონაწილე იყო ისრაელის მკვიდრი ელა შელოვა, რომელსაც ზეიმის დასრულების შემდეგ გავესაუბრეთ: „პირველ რიგში, მადლობა - ჩემს შუახეველ მასპინძლებს - კეჟერაძეების ოჯახს, რომ უმშვენიერეს მთებში ზეიმზე მომიწვიეს. მომეწონა შუახევური ფოლკლორი, კულინარია, სტუმრისადმი დამოკიდებულება“, - გვითხრა ქალბატონმა ელამ.

„შუამთობა“ – განდრეკილზეც

მესხეთის ქედის უმშვენიერესი ტერიტორია კურორტ ბახმაროსა და მის შემოგარენში არსებულ ალპურ საძოვრებს უჭირავს. ბახმარო და განდრეკილის (შედრეკილის) მთა უკვე ერთი ლოკაციაა. ამ მთაზე ზაფხულს შუახევის რაიონის სოფელ ინწკირვეთის მოსახლეობა ატარებს. წლების წინ აქ მხოლოდ მთის სახლები იდგა. ახლა მათ გვერდით თანამედროვე კოტეჯები შენდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ განდრეკილიც მალე სამთო კურორტის ნაწილად იქცევა

ინწკირვეთელები წინაპრების დანატოვარს საგულდაგულოდ უფრთხილდებიან. სამაგალითოდ სიმღერა „ხერტლის ნადურიც“ საკმარისია, რომელსაც აქაურები წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ასრულებენ. 70 წელს გადაცილებული ადგილობრივი ლოტბარი ნანული ჭაღალიძე, თანასოფლელ ახალგაზრდებთან ერთად, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ფესტივალებზე, დათვალიერებებსა და მოსწავლეთა ოლიმპიადებზე წარადგენდა აქაურთა ფოლკლორს, გოგონათა გუნდი, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, რამდენიმე ფესტივალის, მათ შორის, გალათასარაის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატიც გახდა.

ნანული და მისი თაობის ინწკირვეთელები, სტუმრები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან და ქალაქიდან, „შუამთობის“ კვირეულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შეიკრიბნენ განდრეკილის მთაში. განდრეკილში „შუამთობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება მიჰყავდა შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილეს, მწერალ ვახტანგ გოგრაჭაძეს,

- „შუამთობა“ ყველა იმ დღესასწაულების გვირგვინია, რომელიც ჩვენს ხეობაშია შემონახული. წელს, კვირეულის ფარგლებში, თითქმის ყველა მთა შემოვიარეთ, მემთეურებსა და მათ სტუმრებს ზეიმი მივულოცეთ. ღონისძიებები მთა ღომადან დავიწყეთ და მაწყვალთის მთაზე ვამთავრებთ, - თქვა თავის გამოსვლაში შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, რომელმაც ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტზე, რომელიც ზოტიყელსა და განდრეკილში მყოფ მემთეურებს სასიკეთოდ წაადგება. უკვე დაწყებულია და გაისად დასრულდება ღორჯომი-ბახმაროს საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგება. ისიც აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, მთა განდრეკილში დენი გაჰყავთ.

ღონისძიება მხატვრულად გააფორმეს შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ავთენტურმა ანსამბლმა „ჭვანამ“, ბენდებმა „117“ და „რავი“. „ამ მთაში ადრეც ვიყავით, მაშინაც და ახლაც, აქ მყოფნი მადლიერებით შეგვხვდნენ. ისინი ობიექტურად აფასებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, საქმით პასუხობენ იმ ზრუნვას, რასაც ქვეყნის, რეგიონის თუ ადგილობრივი ხელისუფლება მათ მიმართ იჩენს. კარგია, რომ აჭარის ზღვისპირეთის რაიონებსა და გურიის რეგიონში გადასული ინწკირვეთელები ტრადიციებს არ ივიწყებენ. წელსაც 26 ოჯახია მთაში ამოსული, კურორტ ბახმაროს მიმდებარე ტერიტორიაზე ზაფხულს ატარებენ და მეცხოველეობის პროდუქტებსაც ამზადებენ“, - გვითხრა ღონისძიების დასრულების შემდეგ ანზორ ბოლქვაძემ.

თაგინურზე „შუამთობის“ დღესასწაული აღინიშნა

ქედის მუნიციპალიტეტის ცხმორისისა და დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მოსახლეობის ერთი ნაწილი ზაფხულს თაგინურის მთაზე ატარებს

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია, ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის“ დირექტორი ჯამბულ სურმანიძე, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ქედის მუნიციპალური განყოფილების უფროსი მუხრან ბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები თაგინურის მთაში ავიდნენ და მემთეურებს „შუამთობა“ მიულოცეს. კონცერტი გამართეს ცხმორისის კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფესვებმა“.

ზორტიყელიც და...



17 აგვისტოს მთა ზორტიყელში სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ გაიმართება. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებები, საბავშვო აქტივობები, მოეწყობა კვების სივრცეები, ფოტოზონები და სპეციალური ინსტალაციები. დღის ბოლოს კოცონი აინთება. 13:00 საათზე „შუამთობა“ ოფიციალურად გაიხსნება, სახელდახელო სცენა უხუცესთა ანსამბლ „ღორჯომს“ დაეთმობა. თითქმის 2 საათს გაგრძელდება მუსიკალური და იუმორისტული პროგრამა, რომლის მონაწილენი იქნებიან: ბესო ბერულაშვილი, ნინაკა გელაშვილი, ვახტანგ ტატიშვილი, ხვიჩა მაღლაკელიძე, ზურა კობეშავიძე, თემურ თათარაშვილი და ნუგზარ ერგემლიძე. საღამოს საათებში კოცონის შუქზე მოზეიმეთა წინაშე ბენდი „ტრიო გოგლაურა“ და DJ ჩიკი წარსდგებიან.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

ყოველთვის საშიშია თუ არა ლიმფური კვანძების გადიდება?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბევრი ადამიანი შფოთავს ლიმფური კვანძების გადიდების გამო, განსაკუთრებით მშობლები, როცა ბავშვს ლიმფური კვანძი ესინჯება. ეს შფოთვა გამოწვეულია იმით, რომ ადამიანების წარმოდგენაში იგი ონკოლოგიურ დაავადებებთან ასოცირდება, თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ძალიან ხშირად ლიმფური კვანძების გადიდების მიზეზს ინფექციური დაავადებები წარმოადგენს. ყოველთვის საშიშია თუ არა ლიმფური კვანძების გადიდება? ამ საკითხზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ინფექციონისტი ***მაია ბუწაშვილი*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო მაია, რა უნდა ვიცოდეთ ლიმფური კვანძების გადიდების შესახებ?

- ლიმფური კვანძების გადიდება პრაქტიკაში ძალიან ხშირად გვხვდება. უამრავი პაციენტი მოდის ამ ჩივილით. მაგალითად, პედიატრიულ პრაქტიკაში ბავშვების 30-40%-ს შეიძლება ხელით ესინჯებოდეს ლიმფური კვანძები და ეს ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს მშობლებში. აღქმულია, რომ ეს ონკოლოგიურ პათოლოგიებს უკავშირდება, თუმცა ლიმფური კვანძების გადიდების მიზეზებს შორის ამ ჯგუფის დაავადებები შედარებით იშვიათია. უმრავლეს შემთხვევაში, ლიმფური კვანძების გადიდება სრულიად ბანალურ, ყოველდღიურ ინფექციურ დაავადებებს უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს ესინჯება ლიმფური კვანძი, განსაკუთრებით, თუ მშობელი უსინჯავს ბავშვს და ხელით გრძნობს მას, ეს ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს. ხშირად ეს კვანძი ნორმის ფარგლებშია, იგი გადიდებული და პათოლოგიური საერთოდ არ არის. გვაქვს შემთხვევებიც, როდესაც ლიმფურ კვანძებზე ექოსკოპიის პასუხით მოდის შეშინებული პაციენტი, რომ გადიდებული აქვს, სინამდვილეში კი,

როდესაც ზომებს ვუყურებთ, დასკვნაში სრულიად ნორმალური ზომის ლიმფური კვანძებია აღწერილი.

- ლიმფური კვანძის რა ზომებია დასაშვები?

- საშუალოდ, მიჩნეულია, რომ მაგალითად, კისრის ლიმფური კვანძები 2 სანტიმეტრამდე შეიძლება საერთოდ არ იყოს პათოლოგიური, იღლიის ლიმფური კვანძები - 1 სანტიმეტრამდე, საზარდულის კი 1,5-მდე შეიძლება სრულიად ნორმა იყოს. სხვადასხვა კვლევით, მხოლოდ 3 სანტიმეტრზე მეტი ზომის ლიმფური კვანძებია საყურადღებო და შეიძლება, მართლაც საჭიროებდეს უფრო გაღრმავებულ კვლევებს ონკოლოგიური პათოლოგიების გამოსარიცხად. თუმცა, რა თქმა უნდა, ესეც არ არის აბსოლუტური ჭეშმარიტება.

- მნიშვნელოვანია ლიმფური კვანძის კონსისტენცია?

- ცხადია, როდესაც ლიმფური კვანძი არის მოძრავი, ეს, როგორც წესი, პრობლემას არ წარმოადგენს. როდესაც მკვრივი და არამოძრავი ლიმფური კვანძებია, შეიძლება მართლაც საჭიროებდეს შემდგომ კვლევებს ონკოლოგიური დაავადებების გამოსარიცხად. ხშირად პაციენტებს აშინებთ ისიც, როდესაც კანია შეწითლებული, მტკივნეულია, ანთებადი ტიპის ლიფური კვანძია. სინამდვილეში ეს სწორედ ინფექციურ დაავადებებს უკავშირდება.

- რომელი დაავადებებია ესენი?

- ეს ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. დავიწყოთ, მაგალითად, კბილის კარიესით, რომელიც ჩვეულებრივად შეიძლება იწვევდეს ყბისქვეშა ლიმფური კვანძების გადიდებას, ასევე, ჰერპესის ვირუსები. კერძოდ, სახის მიდამოში განვითარებული ჰერპესული ინფექცია შეიძლება კისრის ან ყბისქვეშა ლიმფური კვანძების გადიდებას იწვევდეს, გენიტალური, ანუ სასქესო ორგანოს მიდამოში ჰერპესული ინფექცია კი საზარდულის არეში. ჩვეულებრივი ვირუსული ინფექციები, რესპირატორული, ანუ სასუნთქი გზების, ძალიან ხშირად იწვევს ლიმფური კვანძების გადიდებას. პირველ რიგში, მაინც ინფექციურ მონონუკლეოზს გამოვრიცხავთ, თუ ადამიანს არ აქვს გადატანილი, ეპშტეინ-ბარის ვირუსზე გამოკვლევით ვიწყებთ. ციტომეგალოვირუსსაც ვიკვლევთ, ასევე, ტოქსოპლაზმოზს... ჩამონათვალი მართლაც დიდია, გამოსარიცხია ზოგ შემთხვევაში ტუბერკულოზიც, ბრუცელოზი, კატის ნაკაწრის დაავადება, ანუ იგივე ბარტონელოზი და ასე შემდეგ.

- არსებობს თუ არა მკურნალობა უშუალოდ ლიმფური კვანძების გადიდების წინააღმდეგ?

- ისეთი მედიკამენტი, რომელიც დააპატარავებს ლიმფურ კვანძებს, არ არის. მკურნალობა თუ ინიშნება, უნდა იყოს მიზანმიმართული იმ მიზეზის წინააღმდეგ, რომლის გამოც ხდება ლიმფური კვანძების გადიდება. თუ ეს არის ბაქტერიული ინფექცია, მაგალითად, ფარინგიტი, ვნიშნავთ შესაბამის ანტიბიოტიკს, თუ არის ვირუსული ინფექცია, შესაბამის ანტივირუსულ მედიკამენტებს. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ჯერ ვიწყებთ ინფექციური დაავადებების გამორიცხვით. თუ დავადგენთ და ჩავატარებთ შესაბამის მკურნალობას, შემდეგ უკვე ვაკვირდებით. შეიძლება, ლიმფური კვანძები მყისიერად არ დაუბრუნდეს ნორმალურ ზომას, ამიტომ დროთა განმავლობაში მათზე დაკვირვება ხდება. ძალიან ხშირ შემთხვევაში, ყოველგვარი მკურნალობის გარეშე უბრუნდება ნორმალურ ზომას, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება დადგეს ბიოფსიის საჭიროებაც. ამასაც ძალიან მტკივნეულად განიცდიან პაციენტები, განსაკუთრებით ბავშვების მშობლები. არადა, ლიმფური კვანძის ბიოფსია არ არის ტრავმული და მძიმე პროცედურა, ძალიან იშვიათია გართულებები, თანაც უამრავ შეკითხვაზე სცემს პასუხს. მთელი ეს შფოთვა და ნერვიულობა შეიძლება დასრულდეს მარტივად, ლიმფური კვანძის ბიოფსიის პასუხის შემდეგ. როდესაც ამაზე უარს აცხადებენ პაციენტები, ხშირ შემთხვევაში ბავშვების მშობლები, ეს შემდეგ ხდება გაუთავებელი კვლევების მიზეზი. უამრავი არასაჭირო კვლევა ტარდება, ბავშვიც სტრესშია. ამიტომ თუ ექიმი გადაწყვეტს, რომ საჭიროა ლიმფური კვანძის ბიოფსია, ამაზე წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოთ, იგი ძალიან ინფორმაციულია და ბევრ კითხვაზე ვიღებთ პასუხს.

ზღვის წყლის ხარისხი ნორმაშია

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, აღებული სინჯების კვლევის მიხედვით, შავი ზღვის წყლის ხარისხი სრულ თანხვედრაშია დასაშვებ ნორმებთან.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ ზღვის წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე 7 წერტილში (ბათუმის ცენტრალური პლაჟი, აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორია, კვარიათი, სარფი, ქობულეთის ცენტრალური პლაჟი, ბობოყვათის მიმდებარე ტერიტორია და მწვანე კონცხი) ზღვის წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევები ჩაატარა. „ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით ზღვის წყლის ხარისხი მთელი პერიმეტრის შვიდივე წერტილში დასაშვები ნორმის ფარგლებშია. კვლევების მიხედვით ყველაზე სუფთა ზღვის წყალი სარფი-კვარიათისა და მახინჯაური მწვანე კონცხის ტერიტორიებზე დაფიქსირდა.

კვლევებს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი ატარებს შემდეგ მაჩვენებლებზე: ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები, ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირები, ენტეროკოკი, კოლიფაგები, სალმონელას ბაქტერიები.

სინჯების აღება ხდება მცურავი საშუალების გამოყენებით, ნაპირიდან 50 მეტრის რადიუსში“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქალაქში მწვანე სივრცეებს აწესრიგებენ

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმში სკვერების, პარკების, მწვანე სივრცეებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოწესრიგება მიმდინარეობს, პარალელურად კი რამდენიმე ლოკაციაზე სხვადასხვა სახის სამუშაოები ხორციელდება. ინფორმაციას გამწვანების სამსახური ავრცელებს. მათივე ცნობით, მიმდინარე კვირის განმავლობაში გოგებაშვილის, რუსთაველის, გამსახურდიას, ჩაიკოვსკის, ჯავახიშვილის, კომახიძისა და ხიმშიაშვილის ქუჩებზე მოწესრიგდა პარკები, სკვერები, საყვავილე კლუმბები და წრიულები.

„კვირის განმავლობაში 35-მდე ლოკაციაზე გაიცელა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები, ტროტუარები და გზაგამყოფები.

ჯავახიშვილის, რუსთაველისა და კომახიძის ქუჩებზე ფილები და სავალი ბილიკები დამუშავდა ჰერბიციდით.

ახალსოფლის სანერგე-სასათბურე მეურნეობაში რეგულარულად მიმდინარეობს ყვავილების ჩითილების მორწყვისა და გადარგვის სამუშაოები“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საპენსიო სქემაში ერთი მილიონ 539 ათასი ადამიანია ჩართული

ხატია იაშვილი 555 18 48 88

2024 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, საპენსიო სააგენტოს აქტივების მოცულობამ 5.3 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო ჯამურმა დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.2 მილიარდ ლარს მიაღწია. ამ მონაცემებს საპენსიო სააგენტო ავრცელებს.

სააგენტოს ინფორმაციით, 2024 ივლისში თითქმის ერთი წელი გავიდა სამი პორტფელის გაშვებიდან. ამ პერიოდში აკუმულირებული ამონ-

აგებით, როგორც ნომინალურ, ისე რეალურ რიცხვებში, დინამიკური პორტფელი ლიდერობს.

„2023 წლის 6 აგვისტოდან 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდში დინამიკური პორტფელის რეალურმა ამონაგებმა 12.6% შეადგინა. იმავე პერიოდში დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელების რეალური ამონაგები, შესაბამისად, 11.5% და 9.9% იყო. აღნიშნულ პორტფელებს შორის მთავარი სხვაობა პორტფელებში გლობალური აქციების პროპორციაა. ივლისის ბოლოს, მდგომარეობით, დინამიკურ პორტფელში აქციების წილი 52%-ია, დაბალანსებულში - 32%, ხოლო კონსერვატიულში 18% იყო“, - აღნიშნულია საპენსიო სააგენტოს ინფორმაციაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობა ერთი მილიონ 539 ათასი ადამიანია.

შეხვედრა გიორგი მასალკინთან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფოსი გიორგი მასალკინი იყო მიწვეული

გიორგი მასალკინმა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა და დისერტაცია ფილოსოფიაში დაიცვა. კითხულობს კურსებს ფილოსოფიის სხვადასხვა დისციპლინაში, მათ შორის, პოლიტიკურ ფილოსოფიაში. საერთოდ, მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: ფილოსოფია, პოლიტიკური, ისტორიის, პოსტმოდერნის, სოციალური ფილოსოფიები. ის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევების განყოფილების მეცნიერ-მუშაკი და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ უმაღლესი განათლების პროგრამების ექსპერტი. ფაკულტეტების განვითარების საერთაშორისო პროგრამით (FDFP) მუშაობდა მიწვეულ მკვლევრად სოციალური კვლევების ფაკულტეტზე ნიუ-იორკის უნივერსიტეტ „ახალ სკოლაში“. არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო გამოცემებში ინგლისურ და რუსულ ენებზე. აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, გიორგი მასალკინი აქტიურად ეწევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. სამჯერ იყო არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად, წარმოადგენდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესში. მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო ფორუმში როგორც ჩვენთან, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ვინც თვალს ადევნებს გიორგი მასალკინის ფეისბუქგვერდს, ხშირად ნახავს მის მიერ გადაღებულ საინტერესო ფოტოებს. თამამად შეიძლება ითქვას, ბატონი გიორგი ჩვენი ქალაქის მემატიანეა. მან ბევრი რამ იცის ქალაქის ისტორიიდან და ზოგიერთი რამ გვიამბო კიდეც შეკრებილებს როგორც საკუთარი, ისე სხვის მიერ გადაღებული ფოტოების დახმარებით.

თავდაპირველად სტუმარმა საკუთარი გვარისა და ოჯახის შესახებ გვიამბო. წინაპრების ფოტოების ხილვა ყოველთვის საინტერესოა, სხვაგვარად გითბობს გულს და ბევრ ისეთ რამეს ნახულობ, რაც ახლა დაკარგულია და ვერასოდეს დაიბრუნებ. საინტერესო იყო თავისუფლების მოედნის გათხრისა და აჭარის გათავისუფლებისათვის დაღუპული მებრძოლების 50-მდე ნეშთის აღმოჩენის ისტორია, რომელშიც ბატონი გიორგიც მონაწილეობდა.

როგორც გვითხრა, ძალიან უყვარს ნავების გადაღება და რამდენიმე რჩეული ფოტო ვიხილეთ კიდეც ეკრანზე. გიორგი მასალკინმა „თემების“ მიხედვით შემოგვთავაზა ფოტოები, მათ შორის: ოჯახის, ქალაქის, ბათუმელების - ზაზა ხალვაშის, ზურაბ ქავთარაძის, ყავის მხარშავ აიკუშას, ბერდია ინწკირველის... ცალკე გამოყო ბათუმელი „შერეკილების“ ფოტოსერია, რომელთა შორისაა ცნობილი „ჯონსონა“, „ბოცორია“... სიყვარულით წარმოგვიდგინა შვილიშვილების ფოტოები, რომელიც ხშირად ალამაზებს საყვარელი ბაბუის ფეისგვერდს.

გვესაუბრა და ფოტოებით გაგვაცნო უნივერსიტეტის კინოკლუბი, რომელიც ძალიან კარგ საქმეს აკეთებს - აქ ახალგაზრდები ნახულობენ და შემდეგ განიხილავენ ისეთ ფილმებს, რომელსაც ახლა ეკრანებზე ვერ ნახავ.

ფოტოებზე გიორგი მასალკინი სხვადასხვა ცნობილ ადამიანთან ერთად ვიხილეთ, გავეცანით სხვადასხვა მოგზაურობის დროს გადაღებულ მის ფოტოებს.

- ჩვენ ერთად დიდი ხანია მოვდივართ, ძალიან მიყვარს გიას შემოქმედება, ეს მისი საინტერესო გატაცებაა, რაშიც დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, - აღნიშნა ბათუმელმა თემურ ყურაშვილმა.

„ლიმპოპოელების“ წარმატება – იტალიაში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ მომღერლები (ხელმძღვანელი ლეილა ალექსანდროვა, დამფუძნებელი - მუსიკოსი თამაზ ნიკოლაიშვილი) იტალიის ქალაქ აბანო ტერმეში იმყოფებოდნენ საერთაშორისო ფესტივალზე „კრეატიულობა საზღვრებს გარეშე“, მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიქელე პომას მიწვევით. ფესტივალში დაახლოებით 800-მდე ბავშვი მონაწილეობდა. ორგანიზატორებმა „ლიმპოპოს“ შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში მოიპოვეს. ბათუმელები იტალიაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით (მგზავრობის ხარჯები) გაემგზავრნენ.

ასაკი რამდენიმე კატეგორიად განისაზღვრა. „ლიმპოპოელები“ 10-დან 14 წლამდე ასაკის ჯგუფში გამოვიდნენ.

ფესტივალზე პირველი ბათუმელი გოგონების ტრიო წარსდგა (ნინი ნინიძე, მარიამ ყურშუბაძე, ბარბარე მესხიძე), რომელიც ფესტივალზე გამგზავრების წინ ჩამოყალიბდა. მათ სოლო ნომრებიც შეასრულეს. ტრიომ პირველი ადგილი აიღო, ხოლო გოგონებმა კიდევ ორი პირველი და ორი მეორე ადგილი მოიპოვეს. თუ ვიტყვით, რომ ეს მათი დებიუტი იყო, შედეგი ნამდვილად კარგია, ბავშვებმა გამოცდილებაც მიიღეს. „ლიმპოპომ“ არსებობის 30 წლის განმავლობაში არაერთხელ ასახელა თავისი ქალაქი, საქართველო. 1998 წელს პირველად მიიღო კონკურსში მონაწილეობა და წარმატებითაც. ამიკო ჩოხარაძემ ოდესაში, ცნობილ ფესტივალზე „სლავიანსკი ბაზარ“ „კონკურსის საუკეთესო ვოკალისტის“ პრიზი დაიმსახურა. მაშინ მან გოგონებთან ერთად, ხევსურული შაირები შეასრულა, სიმღერა ცეკვით სრულდებოდა და ძალიან დიდი მოწონებაც ხვდა წილად. შემდეგ გასტროლი ჰქონდათ იზმირში, მოსკოვში, სადაც ბექა ჩოხარაძე სპივაკოვის ფესტივალზე მიიწვიეს, გასტროლები ჰქონდათ თურქეთის ქალაქებშიც. ანეტი მიქელაძე და ბექა ჩოხარაძე, როგორც ფინალისტები, საბავშვო ევროვიზიაში მონაწილეობდნენ. ქართული დიასპორის მიწვევით, ისინი ესპანეთში, ბარსელონაში იმყოფებოდნენ. „ლიმპოპო“ ყოველთვის წარმატებით გამოდის კონკურს-ფესტივალებზე, მონაწილეობს ქალაქში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

წელს მათ ბათუმის მერიის მხარდაჭერით, არაჩვეულებრივი საღამო შესთავაზეს ბათუმელებს, რომელიც გოგი ცაბაძის 100 წლისთავს მიუძღვნეს. გაჟღერდა ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის როგორც ცნობილი, ისე უცნობი სიმღერები.

- ამ ფესტივალისთვის სპეციალურად მოვემზადეთ, ვიცოდით, რომ ბავშვებს თითო სოლოც უნდა შეესრულებინათ. ტრიოსთვის ქართული სიმღერა „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“ შევარჩიეთ, სოლო სიმღერებში მარიამ ყურშუბაძემ ქართული სიმღერა შეასრულა, ბარბარემ და ნინიმ - უცხოური. ძალიან კმაყოფილი ვარ მათი სადებიუტო გამოსვლით. მიხარია, რომ ფესტივალში ჩემი ორი მოსწავლე - ბე სიროტა და ნატალია ბაგდასარიანი მონაწილეობდნენ ისრაელიდან და პირველი ადგილებიც დაიკავეს, - გვითხრა ინგა ბაკურიძემ.

- ცოტა ვინერვიულეთ, რადგან პირველად გამოვდიოდით. გვიხარია, რომ გავიმარჯვეთ, - გვითხრეს ბარბარე მესხიძემ და ნინი ნინიძემ.

- 11 წლის ვარ, სტუდიაში მეოთხე წელია დავდივარ და ხშირად გამოვდივარ კონცერტებზე, თუმცა კონკურსზე გამოსვლა სულ სხვაა. წარმატებასაც მივაღწიე და დიდი გამოცდილებაც მივიღე, - თქვა მარიამ ყურშუბაძემ.

გაიცანით, გამარჯვებული გოგონათა გუნდი - ბათუმიდან

ხატია იაშვილი 555 18 48 88

გლობალური პროექტი Technovation Girls-ი საქართველოში უკვე მეორედ განხორციელდა. ეს არის საერთაშორისო კონკურსი, რომელიც მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის ათიათასობით გოგონას ტექნოლოგიების და ინოვაციური იდეების ირგვლივ აერთიანებს.

Technovation Girls SAKARTVELO 2024-ზე წარდგენილი პროექტებიდან, ადგილობრივმა ჟიურიმ გამარჯვებული გუნდები გამოავლინა, რომლებიც საქართველოს სახელით საერთაშორისო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას.

გამარჯვებულებს შორისაა გოგონების გუნდი ბათუმიდან პროექტით „AI Eyes“ - ეს სათვალე უსინათლოებს დამოუკიდებლად გადაადგილებას უმარტივებს. თამუნა ცინცხალაძემ, ლიზი შანიძემ, თამო ვერძაძემ და თეა ხარაბაძემ უსინათლოებისთვის შექმნეს აპლიკაცია, რომელიც სენსორულ სათვალეებს უკავშირდება.

„სათვალეს შეუძლია აღიქვას და მომხმარებელს უკარნახოს ახლოს მდებარე ობიექტების დასახელებები. ამისათვის სათვალე ეყრდნობა თავის სკანერს, რომელიც აპლიკაციას გადასცემს უცხო სხეულის გამოსახულებას, აპლიკაცია კი ამ ობიექტის შესახებ შესაბამის ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს“, - ამბობენ გოგონები.

აპლიკაციას ასევე აქვს წიგნის კითხვის ფუნქციაც - მომხმარებელი თავად ატვირთავს სასურველ წიგნებს, ჩაშენებული AI სისტემა კი მისთვის წაიკითხავს. ამ ეტაპზე აპლიკაცია ინგლისურ ენაზე სრულიად გამართულად ფუნქციონირებს. რაც შეეხება ქართულს, უკვე შესაძლებელია ქართული ტექსტების ჩაწერა და ხმამაღლა წაკითხვაც, თუმცა ეს ასპექტი დამუშავების პროცესშია. გოგონებს სურთ, სათვალესთან Map-ის ფუნქციაც დააკავშირონ, რათა მოწყობილობამ ნავიგატორის ფუნქციაც შეითავსოს. ყველა ნიუანსის დახვეწის შემდეგ, უსინათლოები მარტივად შეძლებენ გარემოში დამოუკიდებლად გადაადგილებას.

„მთლიანობაში, მუშაობის პროცესი ძალიან სასიამოვნო იყო. აქამდე გამოცდილება არ გვქონია პროგრამირებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, თუმცა პროექტი ძალიან დაგვეხმარა საჭირო უნარების გამომუშავებაში. გზადაგზა უამრავ სირთულეს წავაწყდით, ექსპერიმენტებს ვატარებდით და საბოლოოდ მაინც შევქმენით პროდუქტი. ბევრჯერ შეგვეშინდა და დანებების პირასაც მივსულვართ, მაგრამ მენტორის დახმარებითა და გამხნევებით, საქმე ბოლომდე მივიყვანეთ“, - აღნიშნავენ გუნდის წევრები.

არქივი სრული დატვირთვით მუშაობს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

არქივი ის დაწესებულებაა, რომელიც ეპოქის ძველ წერილობით ძეგლებსა თუ სხვა მასალებს ინახავს. შუახევის რაიონის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის შემდეგ, ამ დაწესებულებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რაიონის ცხოვრებაში. გვესაუბრება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს შუახევის არქივის უფროსი ***ძახა დავითაძე.***

- 72 წლის ისტორიის მქონე შუახევის რაიონის სინამდვილეში არქივი იმ დაწესებულებად რჩება, რომელიც ყველა იმ საქმეს ინახავს, რაც რაიონის (მუნიციპალიტეტის) კულტურულ ცხოვრებაში, ადმინისტრაციულ, სოციალურსა და ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარეობდა, შუახევის არქივს არც ისე დიდი და მდიდარი წარსული აქვს, მაგრამ მოქალაქეთა მოთხოვნებს მაინც ვაკმაყოფილებთ.

- მოქალაქეები რა მოთხოვნებს გიყენებენ?

- ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული მიწების უფასო რეგისტრაცია მიმდინარეობს. ჩვენთან ინახება მეკომურთა კრებების ის ოქმები, რომლებზეც მოქალაქეებს მისი ზღვრული რაოდენობა განესაზღვრათ. ასევე, დიდი მოთხოვნებია სამუშაო სტაჟისა და დაბადება-გარდაცვალების დოკუმენტებზე. ყოველწლიურად, თანაც დინამიკურად, იზრდება დამუშავებული საქმეების რაოდენობა. ორგანოში დასაქმებულმა მუშაკებმა შარშან 222 საქმე დაამუშავეს, წელს, 7 თვეში, უკვე შარშანდელ ზღვარს ვუახლოვდებით.

- მეტწილად რომელი ორგანიზაცია-დაწესებულებები მოგმართავენ?

- შუახევის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, საჯარო სკოლები. მათმა ხელმძღვანელებმა კარგად გაითავისეს საარქივო დოკუმენტებზე მუშაობა. საქართველოსთვის ძნელბედობის წლებში, ზოგიერთი ხელმძღვანელი საარქივო მასალებს უდიერად ეპყრობოდა, რაც ახლა ვლინდება. დასანანია, რომ კომუნისტური ეპოქის ბოლო წლების მასალებს, რომლებიც შუახევს ეხება, დაინტერესებული მოქალაქე, თუნდაც მაძიებელი, ჩვენთან ვერ ნახავს. ასეთი დამოკიდებულება 21-ე საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა. ახლა ზემდგომი ორგანოებიდან კონკრეტული მითითება გვაქვს, რომ თითოეულ დოკუმენტს გავუფრთხილდეთ, რომ მან ადგილი ჩვენს საცავში იპოვოს.

- თქვენი წინამორბედები უკმაყოფილონი იყვნენ მატერიალური ბაზით, საყვედურს გამოთქვამდნენ ტექნიკით არასაკმარისად უზრუნველყოფის გამო.

- სადაც საქმე კეთდება, იქ პრობლემებიც გარდაუვალია, თუმცა, სამინისტროსა და სამმართველოს ხელმძღვანელობა ბოლო წლებში ჩვენი მუშაობით მეტად ინტერესდება. ადრე ერთ მოძველებულ, უსახურ შენობაში, თანაც ტერიტორიულად მიუდგომელ ადგილზე იყო არქივი. ვეტერან არქივარიუსებს ახსოვთ ობმოკიდებული, თითქმის განადგურების პირას მისული საქმეები. ახალ ლოკაციაზე გადასვლის შემდეგ ეს ხარვეზი დაძლეულია. უფრო მეტიც, წელს სამმართველოს ბიუჯეტიდან 200 ათასამდე ლარი გამოგვეყო დაკავებული ფართობის შესაკეთებლად. საკონკურსო შერჩევის შემდეგ, 170 ათასი ლარი გამოიყო სარემონტო სამუშაოებისთვის. მეწარმე გიორგი ხოზრევანიძე საქმეს უკვე შეუდგა. რემონტის დასრულების შემდეგ, კიდევ უფრო ოპერატიული გახდება ჩვენი მუშაობა.

პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლების ვიზიტი – საქართველოში და გამოხმაურებები

მე-4 გვერდიდან

ცოტნე ანანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“:

- პარტნიორებს შორის ხშირად არის დებატები, მაგრამ ეს შედეგებს ვერ შეცვლის - კანდიდატის სტატუსი ამის მაგალითია. ევროინტეგრაცია საკვანძო საკითხია, რაც გადახედვას არ ექვემდებარება. ცალკეულ პოლიტიკოსთა თუ სენატორთა აზრი ვერ შეაფერხებს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს.

გენო თებიძე, „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი აჭარიდან:

- ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ამერიკელ პარტნიორებს დაემალა. სტრატეგიული პარტნიორები ბოლომდე დარწმუნდნენ, რომ „ქართული ოცნება“ არ აპირებს მათთან თანამშრომლობას, ბოლომდე აქვს გადაწყვეტილი ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის პროცესის საბოტაჟირება და რუსეთისკენ,

ირანისკენ, ჩინეთისკენ და არადემოკრატიული ქვეყნებისკენ სვლა. ჩვენი ამერიკელი მეგობრების გზავნილი კი მარტივია - საქართველოს უნდა ჰქონდეს დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის იმედი. ეს ოფიციალური აშშ-ის ორპარტიული პოზიციაა. მთავარია, 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა დასრულოს ხელისუფლება, რომელიც ემსახურება რუსეთს. ეს არჩევნები გვაჩვენებს, რომ ქართველი ხალხი დასავლური ინტეგრაციის მხარეს დგას.

თემურ გორგაძე, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ აჭარის ორგანიზაცია:

- ჩვენი ამერიკელი სტუმრებიდან ერთი იყო რესპუბლიკელი, მეორე - დემოკრატი, რაც ცხადყოფს, რომ ორივე მათგანს ერთნაირი მიდგომა აქვს საქართველოს მიმართ. ჩემი აზრით, მათი ჩამოსვლა არა მთავრობის მხარდაჭერას, არამედ ხალხის მხარდაჭერას ნიშნავდა.

„წარმატების ფორმულა დაუღალავი შრომა და საქმის სიყვარულია“

მე-5 გვერდიდან

- იყო ასეთი - „თინეიჯერი კრაკენი“, რომლის როლზე მუშაობა საოცრად საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ხასიათი საკმაოდ ხშირად ეცვლებოდა და ვცდილობდი, მას მოვრგებოდი. ასევე, ახლახან ჩავწერეთ სერიალი სახელწოდებით „რჩეული“, რომელიც ქრისტეს ცხოვრებაზეა. მგონი, პირველად მოხდა, როცა გახმოვანებისას რაღაც სცენებზე ვტიროდი. მართალია, პერსონაჟსაც ჰქონდა იმ მომენტში სატირალი, მაგრამ მე რეალურად ვტიროდი, რადგან ძალიან ემოციური იყო ჩემთვის. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ამ რვა წლის განმავლობაში გამორჩეულად ერთი პერსონაჟი შემყვარებოდა, ასეთი არ მახსენდება.

- დრამისა და კინოს მსახიობი ხართ...

- დავამთავრე თეატრალური უნივერსიტეტი, გიზო ჟორდანიას და ნანუკა ხუსკივაძის ჯგუფი. იქიდან პირდაპირ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოვხვდი, რომლის წევრიც ვარ უკვე 8 წელია. პირდაპირ ვიტყვი - თეატრის გარეშე ცხოვრება ძალიან მიჭირს, ჩემთვის წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს გადაღლილი ვიყავი და ძალიან მინდოდა დამესვენა, ახლა, როცა ერთი თვეა ვისვენებთ, უკვე ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებთ მუშაობას, რომ ისევ შეეხვდე მაყურებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი თეატრი ძალიან სპეციფიკურია, რადგან მაყურებლის 80% ბავშვია და ბევრად მეტ ენერგიას ხარჯავ. დროის კუთხითაც, ასეა - თუ თეატრებს სტანდარტულად, საღამოს აქვთ სპექტაკლები, ჩვენ შესაძლოა, დილით, შუადღეზე და საღამოსაც გვქონდეს. ეს ყველაფერი დიდ ენერგიას საჭიროებს. ასევე, ძალიან რთულია, პარალელურად სხვა საქმეც აკეთო, შესაბამისად, თუ გახმოვანება მაქვს, ვცდილობ, ღამის საათებში ჩავწერო. ასე ვთქვათ, გადარბენაზე ვარ, მაგრამ ეს რეჟიმი ყველაზე მეტად მიყვარს.

- ფილმში თამაშის გამოცდილება ან სურვილი თუ გაქვთ?

- რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს და ყოველთვის მექნება. გამოცდილებაც შევიძინე. ბოლო წლებში ქართულ პროექტებში არ მიმიღია მონაწილეობა. სამი უცხოური პროექტი მქონდა, სადაც ორჯერ ესპანურ და ერთხელ ინგლისურ ენაზე ვითამაშე მეორეხარისხოვანი როლები. საკმაოდ საინტერესო როლები და გადაღების პროცესი იყო. იმედი მაქვს, წინ კიდევ ბევრი პროექტი მელის. ვისურვებდი, უახლოეს მომავალში ქართულ პროექტებში მონაწილეობას.

- ბალერინაც იყავით...

- დიახ, ქორეოგრაფიული სასწავლებელი დავამთავრე, თუმცა ამ მიმართულებით აღარ წავედი, ძალიან ბევრი გულისტკენა და არცთუ კარგი მონაცემები მქონდა, სცენაზე რომ მებრწყინა. შესაბამისად, ბალეტს კინოსა და დრამის მსახიობობა ვამჯობინე.

- ცოტა რამ - „კალეისზე“.

- „კალეისი“ ჩემი და ჩემი მეგობრის ვერცხლის აქსესუარების ბრენდია, რომელიც 2018 წელს დავაარსეთ. ჩავთვალე, რომ მქონდა ფიზიკური და გონებრივი რესურსი საიმისოდ, ერთი საქმეც რომ დამემატებინა და... გაამართლა კიდეც. დღეს საქართველოს, ასევე, ესტონეთის, ნიუ-იორკის ბაზრებზე ვართ. სულ მალე გერმანიაში მივფრინავ GIZ-სა და „აწარმოე საქართველოს“ პროექტით, რომელიც დამეხმარება გერმანიაში ექსპორტთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. უკვე არის დადასტურებული გალერეა, რომელმაც „კალეისის“ მასთან განთავსება გადაწყვიტა. საკმაოდ დიდი პროექტია და დიდ იმედებსაც ვამყარებთ. ეს მიმართულებაც ჩემი საყვარელი საქმეა, საკმაოდ დიდ რესურსს ვდებ მასში, როგორც ფიზიკურს, ისე ემოციურს და უზომოდ მიყვარს.

- რა არის წარმატების ფორმულა?

- ძალიან მიჭირს ყოველივე ამას ერთი სახელი დავარქვა და რეცეპტი ვთქვა, თუმცა, ჩემი აზრით და პირადი გამოცდილებით, წარმატების ფორმულა დაუღალავი შრომა, არდანებება და, რაც მთავარია, საქმის სიყვარულია - ნებისმიერ სფეროში წარმატებას რომ მიაღწიო, ის საქმე გულით უნდა აკეთო.

- რა გეგმები გაქვთ?

- კონკრეტული გეგმა არ მაქვს. ზოგადად, ჩემი ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. პროექტებიც ასევეა, დღეს რომ დამირეკავენ, ზეგ უკვე საქმეს უნდა შევუდგე. სექტემბრიდან ისევ აქტიურად ჩავერთვები თეატრის ცხოვრებაში, ისევ - გახმოვანება, ისევ - ბიზნესი, ჩემი ოჯახი, შვილი და... ამის ირგვლივ ვიტრიალებ, მივყვები ცხოვრების დინებას და ახალ პროექტებს.

განცხადებები

«აჭარაში» განთავსებული განცხადებების ღირებულება

სამგლოვიარო განცხადება: სიტყვა 30 თეთრი

ნეკროლოგი: სიტყვა 30 თეთრი

მილოცვა: სიტყვა 50 თეთრი

აუქციონები: სიტყვა 50 თეთრი

ფოტომილოცვა: ფოტო 5 ლ. სიტყვა 50 თ.

იყიდება

ურეხში 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით.

დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

დირექტორი მამუკა ბერიძე	გამომცემელი რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი	R რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.	გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია» კოლიბრაზიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი» მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.	მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ოდოვის ქ. №2ᵃ ტელ: 27-13-31 აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/08/24, 16 40 სთ.

რეკლამა დაგვირეკეთ: 27-48-93

ეფერა

საერთაშორისო ფესტივალს „ღამის სერენადები“ მისი დამაარსებლის, ლეგენდარულ მევიოლინე ლიანა ისაკაძის სახელი მიენიჭა

წელს ფესტივალი აღდგენიდან მე-16-ედ ჩატარდება და საქართველოს სამი ქალაქი: ბორჯომი, ბათუმი და თბილისი უმასპინძლებს. ფესტივალი 21 აგვისტოს ბორჯომში, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“, ღია ცის ქვეშ, საზეიმოდ გაიხსნება

23 აგვისტოს, 20:00 საათზე, ბათუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მარიო სტეფანო პიეტროდარკი (ბანდონეონი, იტალია) და ფესტივალის საბაზო ორკესტრი საქართველოს ვირტუოზები (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე) შეასრულებენ ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს: ენიო მორიკონე - სამი თემა; ნინო როტა - მიძღვნა ფედერიკო ფელინის; ხალედ მუზანარი - პოპური; კარლოს გარდელი - Volver; Por una Cabeza; ასტორ პიაცოლა - მელოდია ლა მინორი; Adios Nonino; Vuelvo al Sur; Milonga del Angel; დიდი ტანგო.

ფესტივალის მეორე საკონცერტო დღეს, **25 აგვისტოს, 20:00 საათზე,** ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი უმასპინძლებს ელვინ ხოჯა განიევს (ვიოლინო, აზერბაიჯანი/თურქეთი) და ფესტივალის საბაზო ორკესტრს „საქართველოს ვირტუოზები“ (პირველი ვიოლინო - ლელა მჭედლიძე). საკონცერტო პროგრამაშია: ანტონიო ვივალდის - წელიწადის დრონი; ასტორ პიაცოლას - ბუენოს-აირესის წელიწადის დრონი; ნიკოლო პაგანინის - კაპრისი №24.

15 სექტემბრიდან „ღამის სერენადები“ თბილისში გადაინაცვლებს. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში **15 სექტემბერს, 20:00 საათზე,** ბეატრიჩე ვენეციი (დირიჟორი, იტალია), სანდრო ნებიერიძე (ფორტეპიანო, საქართველო) და ეროვნული სიმფონიური ორკესტრი შეასრულებენ ოტორინო რესპიგის რომის პინიებს, სერგეი რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტს No. 3 რემინორი, თხზ. 30.

17 სექტემბერს, 20:00 საათზე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი მარიამ როინიშვილის (სოპრანო, საქართველო), ლიზი რამიშვილის (ჩელო, საქართველო), გიორგი ოიკაშვილის (კლარნეტი, საქართველო) და ფესტივალის საბაზო ორკესტრის „საქართველოს ვირტუოზები“ (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე) ერთობლივ კონცერტს უმასპინძლებს. საკონცერტო პროგრამაშია: ალბერტო ნეპომუსენუს - სიმებიანი კვარტეტი №3 „Brasiliero“; ალბერტო ნეპომუსენუს - Andante espressivo სიმებიანი საკრავებისთვის; ალბერტო ნეპომუსენუს - სერენადა სიმებიანი საკრავებისთვის; ჰეიტორ ვილა-ლობოსის - მე-18 საუკუნის პოეტის სიმღერა, Cancao de cristal, Samba Classico, Modinha, Melodia Sentimental; შიკინია გონზაგას - Corta Jaca; ზეკინია დე აბრეუს - Tico Tico.

„ღამის სერენადები“ **18 სექტემბერს, 18:00 საათზე,** თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაგრძელდება და ჩეხი კომპოზიტორის ბედრჟიხ სმეტანას 200 წლის იუბილეს მიეძღვნება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გიორგი შავერზაშვილი (ფორტეპიანო, საქართველო) და გიორგი ხაინდრავა (ვიოლინო, საქართველო). მუსიკოსები ბედრჟიხ სმეტანას და ანტონინ დვორჟაკის ნაწარმოებებს დაუკრავენ.

წლევანდელი ფესტივალი **20 სექტემბერს, 20:00 საათზე,** თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმოდ დაიხურება. დასკვნით კონცერტზე მსმენელის წინაშე წარსდგებიან ანდრეს გაბეტა (ვიოლინო/დირიჟორი, საფრანგეთი), მორის შტიგერი (ბლოკ ფლეიტა, შვეიცარია) და ფესტივალის საბაზო ორკესტრი საქართველოს ვირტუოზები (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე). პროგრამაშია: ევარისტო ფელიჩე დალაბაკო - კონცერტი რე მაჟორი, თხზ.5 №6 - ჩაკონა; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ფლეიტისთვის სი-ბემოლ მაჟორი, RV 375; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ვიოლინოსთვის დო მაჟორი, RV 190; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ფლეიტისთვის რე მაჟორი „II Gardellino“, RV 428; პიეტრო ლოკატელი - კონჩერტო გროსო დო მინორი, თხზ.1 №11; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ბლოკ-ფლეიტისთვის დო მაჟორი, RV 443; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ვიოლინოსთვის რე მაჟორი, RV 208 „Grosso Mogul“; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ვიოლინოსა და ბლოკ-ფლეიტისთვის სოლ მაჟორი, RV516.

საკონცერტო პროგრამასთან ერთად ფესტივალის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას მოსწავლე ახალგაზრდებისათვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის, რომელიც მოიცავს დარგობრივ მასტერკლასებს, ვორქშოპებსა და ღია ლექციებს. ასევე ტრადიციულად, ჩატარდება მხატვრების გამოფენები.

ფესტივალის მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, ქალაქ ბათუმის მერია, ქალაქ ბორჯომის მერია, იტალიის საელჩო საქართველოში, ბრაზილიის საელჩო საქართველოში, ჩეხეთის საელჩო საქართველოში.

მასპინძელი სასტუმროები: „ბორჯომი ლიკანი“, „ჰილტონ გარდენ ინნ თბილისი“.

ფესტივალის პარტნიორი: ეროვნული სიმფონიური ორკესტრი. ფესტივალის მხარდამჭერი კომპანიები: „ჯიპისი აფთიაქი“, მცენარეული კოსმეტიკის ფუძემდებელი საფრანგეთიდან „ივ როშე“, პრემიუმ კოსმეტიკის ვეგანური, ქართული ბრენდი „პიელ ნატურალსი“. ძმები ხუციშვილების „ღვინის მარანი“, ღვინის კომპანია „GEORGIAN LEGEND“.

ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერები: აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს პირველი არხი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, „პოს ტვ“, „ევრონიუს ჯორჯია“, მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, მედია და ციფრული კომუნიკაციების საგენტო „კლიპ არტი“, საინფორმაციო პორტალი „ambebi.ge“, საინფორმაციო საგენტო „პრაიმ ტაიმი“, ინგლისურენოვანი გაზეთი „Today“, ინგლისურენოვანი ყოველდღიური გაზეთი „Messenger“, ჟურნალი „სარკე“, გაზეთი „აჭარა“, ონლაინ მედია „აჭარა თაიმსი“, რადიო „ფორტუნა“ და ვებპლატფორმა „ფორტუნა.ჯი“.